ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## მიხეილ სააკაშვილი კიევში გუბაზ სანიკიძესა და ვალერი გელბახიანს შეხვდა



„ჩვენს თავსაც გადავახტით და მოვერიეთ ჩვენს შინაგან მეს“ გვ.2

ორშაბათი, 25 ნოემბერი, 2019 №279 (8233) ფასი: 60 თეთრი

# „მაჟორიტარები შესაძლოა ოპოზიციაში გადავიდნენ“ გვ.4

მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილს ტყუილად ჰგონია, რომ მაჟორიტარები ნაყიდი ჰყავს“

გვ.2



## „ივანიშვილს პრინციპულ საკითხზე შევუთანხმდით“

„ქართული ოცნების“ ლიდერი ამბოხებულ მაჟორიტარებს შეხვდა

# „კვირიკაშვილი და ჩუგოშვილის გუნდი ერთად შეიძლება დიდი ძალა გახდეს“



გვ.4





## ბექან ნათელაშვილი: „სააკაშვილი ქვეყნისთვის პრობლემა აღარ არის. დღეს პრობლემაა ივანიშვილი“

## ლევან ალაფიშვილი: „ოცნება“ ცდილობს, ეს კრიზისი ფასის გადახდის გარეშე გადააგოროს“ გვ.3





## ცემა-ტყეპა ბოდბეში

ალეკო ელისაშვილს „ოცნების“ წევრები დაუპირისპირდნენ

გვ.2

ISSN 1987-9385

**5** ვარკეთილში აკრძალული ღიაკამერიანი გამათბობლით 2 ბავშვი მოიწამლა

**2** ავთანდილ იოსელიანს სალომე ზურაბიშვილმა ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა

**5** რა შემთხვევაში ვერ იმუშავებს ადამიანი ერთდროულად რამდენიმე სამსახურში

**5** ყაზბეგში სომხეთის მოქალაქეს კოკაინი და ჰაშიში აღმოუჩინეს

# მიხეილ სააკაშვილი კიევში გუბაზ სანიკიძესა და ვალერი გელბახიანს შეხვდა

23 ნოემბერს კიევში მიხეილ სააკაშვილი გუბაზ სანიკიძესა და ვალერი გელბახიანს შეხვდა.

– დღეს გიორგობას ჩვენ შევხვდით ძველ თანამებრძოლებთან და ოპონენტებთან ერთად, იმ ხალხთან, ვისაც ვებრძოდით, მაგრამ დღეს არის ერთიანობის დღე, დღეს არის დიდი დღესასწაული და ჩვენ ყველას გვაერთიანებს ერთი რამე – ჩვენ ყველას გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, საქართველო და ჩვენი ამოცანაა, ახალ თაობას გავუხსნათ გზა საქართველოს გადარჩენისკენ და საქართველოს მართვისკენ, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მან გუბაზ სანიკიძესა და ვალერი გელბახიანს მადლობა გადაუხადა.

– ძალიან მადლობელი ვარ გუბაზისაც, ვალერისაც, ჩვენი ბიჭებისაც, რომ ჩამოვიდნენ აქ, კიევში და ძალიან საინტერესო და ჩემთვის ნიშანდობლივი საუბრები გვქონდა.

ყველაფერს, დროსთან და გამოცდილებასთან ერთად, გადახედავს ადამიანი და ბევრი რამე სხვანაირად ჩანს დროის გადასახედიდან.

## „ჩვენს თავსაც გადავახტით და მოვერიეთ ჩვენს შინაგან მეს“



ერთიანობას არ აქვს ალტერნატივა და გამარჯვებას ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ ვერაფერი დაუდგება წინ, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

გუბაზ სანიკიძემ გიორგობა მიულოცა საქართველოს.

– კიევის წმინდა მიწაზე ვართ და ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ტყუპისცალები ვართ გაჭირვებაში ჩვენ და უკრაინელები, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ერთად ვიქნებით.

ჩვენ გადავდგით ნაბიჯი. გარკვეულწილად ჩვენს თავსაც გადავახტით და მოვერიეთ ჩვენს შინაგან მეს, ჩვენს ეგოიზმს და მიგვაჩნია ერთი რამ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ერთიანობაა ჩვენი გამოსავალი, ქართველი ხალხის დარაზმვაა გამოსავალი და ვფიქრობ, რომ ჩვენ მოვახერხებთ ამას, იმიტომ, რომ ჩვენ, წესით, უნდა ვიყოთ ღირსეული მემკვიდრენი ჩვენი წინაპრების.

ამიტომ მრავალს დაესწარით, გაიხარეთ, ქართველებო! – თქვა გუბაზ სანიკიძემ.

ვალერი გელბახიანმაც ერთიანობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

– ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ საქართველოს აქვს სერიოზული პრობლემა, ამიტომ სახელმწიფოს მშენებლობის მომავლისთვის და ერის და სახელმწიფოს შეკვრისთვის საჭირო არის ერთიანობა, – განაცხადა ვალერი გელბახიანმა.

კიევის შეხვედრას იმ დღესვე გამოეხმაურა ირაკლი ოქრუაშვილის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გურამ ჩალაგაშვილი.

მან ფეისბუქში დაწერა:

„ვიცი, ძალიან ბევრი კითხვა გაჩნდა ამ ორი ადამიანის კიევში ვოიაჟთან დაკავშირებით.

მაქვს სურვილი, დავაფიქსირო პოზიცია, რომელიც ჩემია.

მედიის საშუალებით გავიგე პირადად მე, რომ დღეს მოხდა ეს შეხვედრა.

ყველა ადამიანს აქვს საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება, მაგრამ იმ დროს, როცა შენი პარტიის თავმჯდომარე არის პატიმრობაში და მასთან შეუთანხმებლად, პოლიტსაბჭოს გარეშე (რომლის წევრიც არ ხარ), პარტიის სახელით მოქმედებ, სულ მინიმუმ უხერხულია. ასეა ეს და დავსვი წერტილი.

**პ.ს.** არ მგონია, ჩემზე ან ირაკლიზე ახლოს იცნობდეს ვინმე მესამე პრეზიდენტს“.

# „ივანიშვილს პრინციპულ საკითხზე შევუთანხმდით“

## „ქართული ოცნების“ ლიდერი ამბოხებულ მაჟორიტარებს შეხვდა

გუშინ, 24 ნოემბერს, „ქართული ოცნების“ ოფისში ბიძინა ივანიშვილისა და იმ მაჟორიტარების შეხვედრა გაიმართა, რომლებმაც საარჩევნო სისტემის ცვლილებას მხარი არ დაუჭირეს.

როგორც **დიმიტრი ხუნდაძემ** შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, შეხვედრაზე საუბარი შეეხო 2020 წლისთვის სრულად მაჟორიტარულ სისტემაზე გადასვლის საკითხს.

მისი თქმით, ისინი პრინციპულ საკითხთან დაკავშირებით შეთანხმდნენ, თუმცა კონკრეტულად რა შეთანხმებაზეა საუბარი, ამაზე უმრავლესობის ფორმატში აღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ გააჟღერებენ.

– შედგა შეხვედრა იმ მაჟორიტარებსა და ბატონ ბიძინას შორის, ვინც პროპორციულ სისტემას ეწინააღმდეგებიან. ითხოვენ 2020 წლისთვის მაჟორიტარულ სისტემაზე გადასვლას.

ამ საკითხის გარშემო ვისაუბრეთ საკმაოდ ბევრი. საათ-ნახევარი გასტანა შეხვედრამ. პრინციპულ საკითხთან დაკავშირებით შევთანხმდით, მაგრამ ამ ეტაპზე მეტ კონკრეტიკაზე ვერ ვისაუბრებ, რადგან ეს შეთანხმება კიდევ ერთხელ განხილული უნდა იქნას უმრავლესობის ფორმატში და იქ გაფორმდეს და სწორედ უმრავლესობის შეხვედრის შემდეგ გეტყვით, რა კონკრეტული შეთანხმების შესახებ იყო საუბარი, – განაცხადა ხუნდაძემ.



ზუგდიდის მაჟორიტარმა დეპუტატმა **მერაბ ქვარაიამ** დაადასტურა დიმიტრი ხუნდაძის ნათქვამი.

– პრინციპში, გადაწყვეტილება მიღებულია, 25 ნოემბერს უმრავლესობის სხდომის შემდეგ გაცხადდება ერთიანი პოზიცია, – განაცხადა მან.

მისი თქმით, შეხვედრაზე ყველა იმ საკითხზე იმსჯელეს, რომელიც შექმნილ მდგომარეობასთან არის კავშირში.

– შეხვედრა შედგა პარტიის თავმჯდომარის ინიციატივით, პრინციპში, გადაწყვეტილება მიღებულია. შეხვედრას ესწრებოდნენ მაჟორიტარი დეპუტატები, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს პროპორციულ სისტემაზე გადასვლას. შეთანხმება მიღწეულია, ხვალ იქნება უმრავლესობის სხდომა, როდესაც კიდევ ერთხელ გვექნება მსჯელობა ამ საკითხებზე, ამის შემდეგ იქნება უკვე ცნობილი და გაჟღერებული ერთიანი პოზიცია.



მსჯელობა იყო ძალიან საინტერესო, დეტალური, შევეხეთ ყველა საკითხს, რომელიც შექმნილ მდგომარეობასთან არის კავშირში, შესაბამისად, მინდა გითხრათ, რომ არის ასეთი შეთანხმება, ხვალ უმრავლესობის სხდომის შემდეგ გაჟღერდება ეს ინიციატივა, – განაცხადა მერაბ ქვარაიამ.

# ცემა-ტყეპა ბოდბეში

## ალეკო ელისაშვილს „ოცნების“ წევრები დაუპირისპირდნენ




გუშინ, 24 ნოემბერს, ხმაური და დაპირისპირება იყო კახეთში. ალეკო ელისაშვილის სამოქალაქო მოძრაობის წევრებსა და „ქართული ოცნების“ აქტივისტებს შორის ბოდბეში ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

სახელისუფლებო გუნდის ადგილობრივმა ფრთამ ელისაშვილის ახალი კამპანია გააპროტესტა. მათ სამოქალაქო მოძრაობის წევრებს პლაკატები და ბანერები წაართვეს.

„ვამხილოთ ფეოდალი მაჟორიტარები“ – ასე ჰქვია ელისაშვილის და სამოქალაქო მოძრაობის კამპანიას, რომელიც გუშინ კახეთიდან დაიწყო. ალეკო ელისაშვილის გეგმის მიხედვით, მისი მოძრაობა ჩავა ყველა რეგიონში, შეხვდება ადგილობრივებს და ამხელს მაჟორიტარებს. რა გააკეთეს მათ ხალხისთვის, ბოლო 3 წლის განმავლობაში და რა ქონებას ფლობენ დღეს მაჟორიტარები.

პირველი შეხვედრა სწორედ წნორში დაიგეგმა სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარ ირაკლი შიოლაშვილის წინააღმდეგ.

– „ქართული ოცნების დეპუტატები გამოგზავნეს და დეპუტატები ურტყამდნენ ჩვენს მხარდამჭერებს, წარმოიდგინეთ, ვიღაც ხელის ბიჭები და ზონდერები კი არა, დეპუტატები ჰყავდათ გამოგზავნილი“ – განაცხადა სამოქალაქო აქტივისტმა.

პოლიციამ ბოდბის ბაზარში დაპირისპირებაში მონაწილე „ქართული ოცნების“ წევრის მიმართ გამოძიება დაიწყო.

სიღნაღის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის ილია ბაიდოშვილის წინააღმდეგ სამართალდამცველებმა საქმე 166-ე მუხლით აღძრეს, რაც ხულიგნობას გულისხმობს.

ბაიდოშვილმა „ამხილე ფეოდალი მაჟორიტარის“ კამპანიის ფარგლებში წარმოდგენილი პლაკატი დააზიანა, ასევე ორგანიზაციის ერთ-ერთ წევრთან ფიზიკური დაპირისპირება ცადა.

ბოდბეში მომხდარი ცემა-ტყეპის შესახებ კომენტარი გუშინ საღამოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შიოლაშვილმა გააკეთა.

– დღეს ოპოზიციის ნაწილი ჩასული იყო ბაზარში. მოგეხსენებათ, საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა და მით უფრო რაიონებში, ერთმანეთის მეგობრები, ნათესავები, ბაზარში მყიდველიცაა, გამყიდველიც და როდესაც ოპოზიციის ლიდერები მიდიან რაღაც პლაკატებით და აკეთებენ შეურაცხმყოფელ განცხადებებს, აქვე წინსწრებით უნდა ვიცოდეთ, რომ ეს გამოიწვევს გარკვეულ დაპირისპირებას. მათ შორის, შეიძლება იყვნენ პოლიტიკურად როგორც ჩვენი მომხრეები, ასევე ჩვენ მიმართ ოპოზიციურად განწყობილები, ესაა ბუნებრივი პროცესი.

ვნახე კადრები, სადაც იყო გარკვეული დაპირისპირება. ჩემი თხოვნა იქნება და მოწოდება, როგორც პირადად მე, პარლამენტის ერთ-ერთ წევრი არ ვაკეთებ პერსონალურ შეურაცხმყოფელ განცხადებას არც ერთი ჩემი ოპონენტის მიმართ, ასევე უნდა მოიქცეს ყველა ჩვენ მიმართ ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატი, პოლიტიკოსი თუ ადამიანი, რომელიც მომავალში აპირებს, რომ პოლიტიკაში შემოვიდეს, – განაცხადა ირაკლი შიოლაშვილმა.

# ავთანდილ იოსელიანს სალომე ზურაბიშვილმა ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა

საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის გადაწყვეტილებით, სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობის, გამორჩეული გმირობისა და თავდადებისათვის მე-2 საარმიო კორპუსის 24-ე ბრიგადის საკომენდანტო ასეულის მებრძოლი ავთანდილ იოსელიანი ეროვნული გმირის ორდენით დაჯილდოვდა და საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო საქართველოს პრეზიდენტმა ავთანდილ იოსელიანის მეუღლეს გადასცა.



საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისა და თავდადებისათვის, სიკვდილის შემდეგ, საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა ომისა და თავდაცვის ძალების 23 ვეტერანი, მათ შორის: ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით ოთხი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი ხუთი, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით რვა ვეტერანი, ხოლო მედალი „მხედრული მამაცობისათვის“ გადაეცა ექვს ვეტერანს.

დაჯილდოების ღონისძიებაზე ასევე აღინიშნა, რომ შინდისის ბრძოლის მონაწილე გიგა მურვანიძეს, პრეზიდენტის ინიციატივითა და თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, ბინა გადაეცა.

# „კმარა არჩევნები არჩევანის გარეშე“

## ბექა ნაცვლიშვილი საზოგადოებრივ მოძრაობას ქმნის

დამოუკიდებელი დეპუტატი ბექა ნაცვლიშვილი საზოგადოებრივ მოძრაობას ქმნის.

„კმარა არჩევნები არჩევანის გარეშე“ – ამ სლოგანით თბილისში დეპუტატმა მშრომელთა გაერთიანებასთან ერთად აქცია გამართა. მთავარი მოთხოვნა პროპორციული არჩევნებია.

დამოუკიდებელი დეპუტატი მმართველ გუნდს დიალოგისკენ მოუწოდებს – ამის შესახებ ნაცვლიშვილმა თბილისში, ფილარმონიის წინ გამართულ აქციაზე განაცხადა.

ბექა ნაცვლიშვილის თქმით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა მშრომელთა უფლებებს დაიცავს და არჩევნებში სწორედ მშრომელთა საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას.

ნაცვლიშვილის განმარტებით, ისინი 25 ნოემბერს ოპოზიციის მიერ დაანონსებულ აქციას არ შეუერთდებიან და ნაციონალური მოძრაობის გვერდით არ დადგებიან.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლევან ალაფიშვილი: „ოცნება“ ცდილობს, ეს კრიზისიც ფასის გადახდის გარეშე გადააგოროს“



იაგო ნაცვლიშვილი

## „როგორც დაჩი ბერაიას პროტესტი იყო ღიმილის მომგვრელი, ისეა კაკი ზოიძის პროტესტიც“

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი აკაკი ზოიძე საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით პლებისციტის ჩატარებას ითხოვს. მას უკვე გამოუჩნდნენ მომხრეები უმრავლესობაში. იურისტი ლევან ალაფიშვილი აცხადებს, რომ საარჩევნო სისტემის საკითხზე რეფერენდუმის/პლებისციტის ჩატარება დროის გაყვანის მცდელობაა.**
**რატომ ფიქრობს, რომ რეფერენდუმის/პლებისციტის ჩატარება დროის გაყვანის მცდელობაა, ხომ არ ხედავს დღევანდელ დაჭერებსა და 2012 წლამდე ვითარებას შორის მსგავსებას და რა რიტორიკაა ის, რომ როგორ შეიძლება ნაცმოძრაობასთან ერთად დგომა აქციაზე? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იურისტი ლევან ალაფიშვილი საუბრობს.**

***— რატომ გგონიათ, რომ პლებისციტის თემა დროის გაყვანის მცდელობაა და, თუ დროს გაიყვანენ, პროტესტი ჩაცხრება?***

— ეს ჩემი სუბიექტური შეხედულება არ არის და ავხსნი, რატომაც. ორი მთავარი რამეა. პირველი, პლებისციტის მოწვევა-ჩატარების პროცედურები ძალიან მკაფიოდ არის გაწერილი რეფერენდუმის შესახებ კანონსა და საარჩევნო კოდექსში. უკეთეს შემთხვევაში, ძალიან სწრაფად რომ წარიმართოს ეს ყველაფერი, მინიმუმ 3 თვე მაინც დასჭირდება. გადავითვალოთ, უკვე საარჩევნო წელში ვიქნებით. ოღონდ წერტილი კი არ უნდა დავსვათ ამაში. ჩავთვალოთ, რომ ჩავატარეთ და ხალხმა თქვა, რომ პროპორციული გვინდა, დავუშვათ ეს შედეგი გამოცხადდა 1 მარტს. მერე რა ხდება? ერთმანეთს ჩავხედოთ თვალებში, ვთქვათ რა კარგიაო, ერთმანეთს ხელები ჩავკიდოთ და ვიზეიმოთ?

არჩევნები რომ პროპორციული სისტემით ჩატარდეს, მას სჭირდება შესაბამისი კანონი, რომელსაც ამ შემთხვევაში კონსტიტუცია ჰქვია. კონსტიტუციაში შესაბამის ცვლილებას კი მინიმუმ 3 თვე სჭირდება. მოვედით ივნისამდე. 1 მარტს ერთმანეთს ხელები რომ ჩავკიდეთ და ჟრიამული გვაქვს, მაგ დროს, კაკი ზოიძის თქმით, 113 დეპუტატი გაჩნდება?! დავუშვათ, რომ ყველამ დავუჯერეთ მას და ვთქვით, კაკი, რა კარგი ბიჭი ხარ, ეს რა გვაპოვნინე და ყველამ დავუჭირეთ მხარი პროპორციულ არჩევნებს. მერე ვეკითხებით, კაკი, ახლა რა ვქნათ? გაქვთ ? კაკი გვეუბნება, რომ არ აქვს, ანუ ნებისმიერ შემთხვევაში ეს არის დროის მოგება და ამ მუხტისა და პროტესტის გადაგორება. კაკის თქვენი გაზეთის მეშვეობით ვთხოვ, რომ უკნიდან დაითვალოს, შედეგი როგორი იქნება, პლებისციტზე რომ წავიდეთ.

***— უმრავლესობის წიაღში სხვადასხვაგვარი განცხადება მოვისმინეთ. ზოგი თითქოს არ ეთანხმება პროპორციულზე გადასვლის ჩაგდებას, ზოგმა სრულად მაჟორიტარულზე გადასვლის იდეა გააჟღერა, ახლა უკვე პლებისციტის იდეაც. ცდილობენ, რომ რაღაცნაირად პროტესტი ჩააგდონ და სხვაგან გადაიყვანოს პროცესი?***

— კაკის ინიციატივას (ისტორიაში შემორჩება ეს სახელი) უმალ გამოეხმაურნენ უმრავლესობაში, განვიხილავთო. როგორც დაჩის პროტესტი იყო ღიმილის მომგვრელი, ახლა კაკის პროტესტიც ანალოგიურად ღიმილის მომგვრელი იყო.

ეს ერთადერთ რამეზე მიანიშნებს, რომ რეალურად უკვე დაიწყო მთავრობამ გაცნობიერება, რომ საკმაოდ რთულ მდგომარეობაშია. ოღონდ არა მარტო თვითონ პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ უკვე მიხვდა, რომ საზოგადოებაში ღრმავდება კრიზისი. საზოგადოების დაპირისპირების რისკი ჩნდება და შეიძლება, აქამდე მივიდეს ეს ყველაფერი. ვნახეთ „ოცნების“ ე.წ. მხარდამჭერების და სამოქალაქო აქტივისტების დაპირისპირება და ა.შ. აქედან გამომდინარე, უნდათ ე.წ. ღირსეულად, მაგრამ მათთვის მომგებიანად გამოსვლა.

უნდათ, რომ ესეც ისე გადააგორონ, როგორც, სამწუხაროდ, 20 ივნისი გადააგორეს. არცთუ უსაფუძვლოა ვარაუდი, რომ სხვა პოლიტიკური სუბიექტების მხარდაჭერით თუ ხელშეწყობით გადაგორდა 20 ივნისი და ახლაც რაღაცნაირად მაგდაგვარ მცდელობებს ვაკვირდებით.

ეს არის მცდელობა, რომ „ოცნება“ დანაკარგის გარეშე გამოვიდეს ამ მოცემულობიდან. მისი სურვილია, რომ არ გადაიხადოს პოლიტიკური ფასი არც 20 ივნისზე და არც ბოლო პერიოდში მიცემული პირობის შეუსრულებლობაზე.

***— ახსენეთ, 20 ივნისი პოლიტიკური სუბიექტების დახმარებით გადააგორესო. ვის გულისხმობთ?***

— თვითონ 20 ივნისი იყო სრულად სამოქალაქო აქტივობა. ახალგაზრდები იცავდნენ სამშობლოს, როგორც შეეძლოთ. იქ პოლიტიკის ადგილი არ იყო.

ღამეს რაც შეეხება, იქ უკვე იყო მცდელობა, რომ ახალგაზრდების ეს შემართება პოლიტიკურად გამოყენებულიყო. გამოიყენეს თუ არა, ამაზე არ არის მსჯელობა.

ფაქტია, რომ 20 ივნისი მოხდა. მან გაზარდა ახალი თაობის სამოქალაქო პროტესტი. ამას ჰქონდა დიდი პოტენცია და ხელისუფლებისთვის ყველაზე დიდი საფრთხე ეგ იყო. იქ პოლიტიკოსები არ იყვნენ და შემდეგ გაჩნდნენ. გვახსოვს ხომ, მე იქ არ დავდგები და ა. შ. ამ ყველაფრით ხელისუფლებამ შეძლო ამის გადაგორება. ნებსით და უნებლიეთ ასე მოხდა.

ხელისუფლების მოკავშირეები იყვნენ პოლიტიკოსები.

***— ათეულობით ადამიანია დაკავებული, ვინც აპროტესტებს სხვადასხვა ფორმით სხვადასხვა ვითარებას. ხომ არ ხედავთ მსგავსებას 2012 წლამდე არსებულ ვითარებასა და დღევანდელს შორის? მაშინაც იჭერდნენ ყველას, ვინც ხელისუფლების წინააღმდეგ მიდიოდა. დღესაც ხომ არ დგება ის რეალობა?***

— ძალიან სწორად შენიშნეთ ეს თქვენ. მაშინაც ვამბობდი, რომ სააკაშვილმა საარჩევნო პერიოდში პოლიტიკური განაჩენი თვითონვე შექმნა, იმ სისტემამ შექმნა. იმ დევნამ, დაპირისპირებამ, ქვების სროლამ, სისხლმა და დაჭერებმა შექმნა. ამან გააკეთა საუკეთესო პიარი და მხარდაჭერა „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. დროის იმ მოკლე პერიოდში რა რესურსით იყო რეალურად ამ შედეგის მიღება, არც კი ვიცი, ლამის საკონსტიტუციო უმრავლესობით მოიგო „ქართულმა ოცნებამ“.

იმავე შეცდომას იმეორებს „ქართული ოცნება“, ნაცვლად იმისა, რომ პროცესები დემოკრატიული გზით წავიდეს.

ერთი სიტყვით, მიხეილ სააკაშვილი და ის სისტემა იყო „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი „პიარშიკი“ 2012 წელს. ახლა კი ჯერ არ ვიცი, ვისი „პიარშიკი“ იქნება „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი.

***— გვესმის რიტორიკა, სააკაშვილთან როგორ დგახართო და ამას საყვედურობენ იმ ძალებს, რომლებიც წლები იყვნენ დაპირისპირებული სააკაშვილის ხელისუფლებასთან. ეს რიტორიკა როგორ უნდა გავიგოთ?***

— სამწუხაროდ, ჩვენმა თაობამ ვერ დაძლია ის მანკიერი და არაჯანსაღი მიდგომა თუ კლიშე, რომელიც ცდილობს, ყველგან თუ ყველაფერში იპოვოს თუ გაარღვიოს ზღვარი, იპოვოს განსხვავება და, აქედან გამომდინარე, იყოს დაპირისპირებული.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკითხები ძალადობის გზით გადაწყდეს. დემოკრატიის ფუნდამენტი ხომ კონსენსუსი და დიალოგია. ეს არის მთავარი. ნებისმიერი სახელმწიფოს ამოსავალი ხომ სახელმწიფოს, ჩვენი, მოქალაქეების, განვითარებაა. ხომ იმიტომ მოდიან ხელისუფლებაში, რომ ჩვენგან მოიპოვონ მანდატი.

ეს მოგვდევს წლების განმავლობაში, რომ ერთი მეორეს უპირისპირდება, მერე ხდება მარგინალიზაცია. გვახსოვს ეს, გამსახურდიას ხელისუფლებიდან დაწყებული, დღემდე. ეს ჯერჯერობით ვერ მოვიცილეთ.

ჩვენს მომავალ თაობას, ჩვენი შვილების თაობას და იმათი შვილების თაობას სამოქალაქო კულტურა ჩვენზე უკეთესი აქვთ. ჩვენ, უბრალოდ, არ უნდა მივცეთ უფრო მეტი მაგალითი იმისა, რომ ჩვენ შეგვიძლია მათთან დაპირისპირება და უფრო სასტიკ ძალადობაზე წასვლა დემოკრატიულ საკითხებთან დაკავშირებით.

არჩევნები კი ზუსტად დემოკრატიული საკითხებია.

# ბეჟან ნათელაშვილი: „სააკაშვილი ქვეყნისთვის პრობლემა აღარ არის. დღეს პრობლემაა ივანიშვილი“

მარიამ მჭედლიშვილი

**არის თუ არა დეპუტატ აკაკი ზოიძის ინიციატივა საარჩევნო სისტემის თაობაზე ხელისუფლების წინადადება? რის მიღწევა უნდა „ქართულ ოცნებას“? რაზე მოედავნენ აქციაზე დაკავებულ ახალგაზრდა ლეიბორისტებს სამართალდამცავები? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის წევრ ბეჟან ნათელაშვილს.**

***— უმრავლესობის წევრი აკაკი ზოიძე გამოდის ინიციატივით, რომ 2020 წლის საარჩევნო სისტემის შესახებ გაიმართოს რეფერენდუმი ან პლებისციტი. ეს უმრავლესობაში მოფიქრებული იდეაა?***

— დარწმუნებული ვარ, რომ ეს ხელისუფლებაში მოიფიქრეს. რეფერენდუმისა თუ პლებისციტის შემოგდებით ხელისუფლებას დროის გაჭიანურება და მუხტის ჩაცხრობა უნდა.

დავიწყოთ რეფერენდუმით. ეს, ალბათ, არ გამოვა. ერთ-ერთ მიზეზად დასახელდება ის, რომ საქართველოს ხელისუფლების კონტროლი ვერ ხორციელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე. პლებისციტი უფრო რეალურია, მაგრამ მისი შედეგები არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი. ის სარეკომენდაციო ხასიათისაა. საარჩევნო სისტემაზე ჩვენ არანაირი პლებისციტი არ გვჭირდება. ხალხს ამაზე გამოთქმული აქვს თავისი მოსაზრება.

***— სოციოლოგიური კვლევების დროს?***

— სოციოლოგიური კვლევები და ყველანაირი გამოკითხვები ადასტურებს, რომ გამოკითხულთა 70%-ს და მეტს უნდა პროპორციული ანუ პარტიული არჩევნები. ხალხს მაჟორიტარები ყელში ჰყავს ამოსული.

ხალხის ამ პოზიციის გამო რამდენიმე თვის წინ ივანიშვილი ადამიანებს დაჰპირდა, რომ პროპორციულ სისტემას 2020 არჩევნებისთვის შემოიღებდა. ივანიშვილმა სიტყვა გატეხა და პროპორციულ სისტემაზე უარი თქვა. მან ეს




გააკეთა მონა მაჟორიტარების ხელით.

ეს მაჟორიტარები წურბელებივით ასხედან თავიანთ რაიონებსა და რეგიონებს. მათი მთავარი საქმიანობა პარლამენტში საკუთარი ქონების დაცვა და ისეთი დავალებების შესრულებაა, როგორც ამ შემთხვევაში შეასრულეს. ეს მაჟორიტარები მდიდრდებიან იმ დროს, როცა ხალხი ღარიბდება. ისინი არსებობენ ხალხის ხარჯზე. ამ პროპორციულ სისტემაზე ხომ მოგვატყუა ივანიშვილმა და ახლა პლებისციტის შემოტყუება უნდა. ისედაც ყველამ იცის, რომ ხალხს მაჟორიტარების გაგონება არ უნდა.

***— ოპოზიცია საზოგადოებასთან ერთად აგრძელებს საპროტესტო აქციებს. ბოლო დროს ამ აქციებში შოუს ელემენტები ხომ არ ჭარბობს? „ევროპული საქართველო“ და ნაციონალები „ქართულ ოცნებას“ ბოქლომებს უდებენ, საპასუხოდ კი ცოცხებს იღებენ. ამას ორპოლუსიანობის დამყარების მცდელობაც ახლავს?***

— ამ აქციებს შოუს არ დავარქმევდი. რაც შეეხება ორპოლუსიანობას, შეიძლება, „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას ან „ევროპულ საქართველოს“ ეს უნდოდეთ. რომ მოინდომონ, ორპოლუსიანობა და ორპარტიულობა

## „რეფერენდუმისა თუ პლებისციტის შემოგდებით ხელისუფლებას დროის გაჭიანურება და მუხტის ჩაცხრობა უნდა“

აღარ გამოუვათ. შუა ადრე გაიკრიფა. ახლა სხვა დროა. იმ აქციებზე, რომლებიც ივანიშვილის დიდი აფერის შემდეგ იმართება, ნაციონალური მოძრაობა ან „ევროპული საქართველო“ დომინანტი არ არის.

***— აქციებზე ბევრნი ხართ?***

— რასაკვირველია. ლეიბორისტები განსაკუთრებულად ვაქტიურობთ. ორი დღის წინ მოდულის შენობასთან იყო საპროტესტო აქცია. იქ დააკავეს 7 თუ 8 ახალგაზრდა. მათგან 2 — ოთარ ბექაური და ბექა ნათელაშვილი ჩვენს პარტიას წარმოადგენენ.

***— ისინი, როგორც ვიცი, ხელწერილით გამოუშვეს.***

— დიახ, ხელწერილით გამოუშვეს. ამ დღეებში გაიმართება მათი სასამართლო პროცესი. მათთან მოსადავებელი არაფერი აქვთ. პოლიციელებმა ამ საქმეზე სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი.

***— რატომ ჩაიგდეს თავი სასაცილო მდგომარეობაში?***

— ბექაურსა და ნათელაშვილს ოქმში ჩაუწერეს, რომ ისინი უშვერი სიტყვებით აგინებდნენ პოლიციელებს და ამ მომენტში დააკავეს. არადა, მათი დაკავება მოხდა უამრავი მოწმის თვალწინ, ღია ეთერში. ყველამ, ვინც ამას პირდაპირ ეთერში უყურა, იცის, რომ იქ გინება არ ყოფილა. არქივი შენახულია.

***— ალბათ, სასამართლო ამას გაითვალისწინებს.***

— ამ სასამართლოს გადამკიდე, ძნელია თქვა, რომ უდანაშაულო ადამიანებს არაფერს შეუფარდებენ.

***— აქციების მიმართ იმედიანად ხართ განწყობილი?***

— რასაკვირველია. ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ არჩევნები გაიმართება პროპორციული სისტემით და მოხდება ცესკოს შეცვლა, მისი სამართლიანად დაკომპლექტება.

***— სულ აქციებზე თუ იდექით, არჩევნები მოახლოვდება და პარტიებს საარჩევნო კამპანიის ჩატარება გაგიჭირდებათ.***

— ივანიშვილს ეგეც უნდა, რომ პარტიებს ყველანაირად ხელი შეგვიშალოს. მთავარი უბედურებაა, რომ ივანიშვილი აბრკოლებს სახელმწიფოს ფუნქციონირებას და, პარტიებს რომ ხელი შეგვეშალოს, ეგ იმასთან შედარებით არაფერია.

დღეს საქართველოს სათავეშია ბანდა, რომელიც შლის სახელმწიფოს და ანადგურებს სახელმწიფო ინსტიტუტებს. ასეთი ბანდები და კლანები მართავენ რუსეთსაც. ზოგს ჰქონია, რომ დღევანდელი რუსეთი საბჭოთა კავშირის გაგრძელებაა. დღევანდელი რუსეთი იმაზე ბევრად უარესია და ბანდიტების ხელშია. ამის მსგავსი ბანდიტური რეჟიმი დაამყარა ივანიშვილმაც.

***— 23 ნოემბერს სააკაშვილთან ჩავიდნენ „გამარჯვებული საქართველოს“ წარმომადგენლები გუბაზ სანიკიძე და ვალერი გელბახიანი. როგორ ფიქრობთ, რა ამოცანები აქვს საქართველოში სააკაშვილს?***

— არ ვიცი. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი ქვეყნისთვის პრობლემა აღარაა. მიხეილ სააკაშვილის პრობლემა ჩემთვის 2012 წელს დამთავრდა. დღეს საზოგადოების ვექტორი მიმართული უნდა იყოს ივანიშვილის წინააღმდეგ.

მის გამოა, რომ ქვეყანა იშლება, ხალხი ღატაკდება, მდიდარი მაჟორიტარები ისევ ხალხს ასხედან კისერზე, გრძელდება ბორდერიზაცია და ჰუმანური პროფესიის ადამიანი, უდანაშაულო ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი, ცხინვალში ჰყავთ დატყვევებული.



**შევიძენ**
**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**
**ტელ: 598-43-98-57**

# „კვირიკაშვილი და ჩუგოშვილის გუნდი ერთად შესაძლოა დიდი ძალა გახდეს“

## რამაზ საყვარელიძე: „დღევანდელი ოპოზიცია „ოცნების“ საქმეს აკეთებს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო რამაზ, ოპოზიცია აგრძელებს აქციებსა და პიკეტირებას. რას იგებს ამით ოპოზიცია და რას აგებს ხელისუფლება?***

– არც არაფერს! ოპოზიციის ტაქტიკა ხშირად მიმართულია იმის ჩვენებისკენ, რომ ხელისუფლება კარგად არ გამოიყურება, რომ ხელისუფლება შეცდომებს უშვებს, მაგრამ, რამდენად მისაღებია ის სტილი, როგორც ოპოზიცია მოქმედებს, რა არის ამ სტილში ახალი?! ხელისუფლების მხრიდან ნამდვილად იყო სიტყვის გატეხა, მაგრამ ამის პასუხად რამდენად ადეკვატურია ის მეთოდები, რომლებსაც ოპოზიცია მიმართავს?!

ბოქლომების დაკიდებას არანაირი პოლიტიკური აზრი არ აქვს. ეს არის პიარის ნაწილი. კი ბატონო, გასაგებია, ეს არის უკმაყოფილების გამოხატვა და ამ ფორმით გამოხატავენ, მაგრამ საზოგადოებისთვის უკმაყოფილება ახალი ხომ არ არის. ხალხი ისედაც უკმაყოფილოა, შენ რას სთავაზობ, რა ალტერნატივას, ეს არის აქ მნიშვნელოვანი.

გასაგებია, დისკომფორტს უქმნის ოპოზიცია ხელისუფლებას, მაგრამ გადაწყვეტილებას არჩევნებზე ხალხი იღებს და არა ხელისუფლება. შენ რომ აგირჩიონ, ამისთვის ხალხს უნდა დაანახო, რომ უკეთესი ხარ, რომ უკეთესს სთავაზობ. რამდენად ახერხებს ამას ამ ტაქტიკით ოპოზიცია, ვერ გეტყვით.

ინფანტილურია ოპოზიცია. ბევრად უფრო მეტი სამუშაო აქვთ მათ ახლა, ვიდრე ხელისუფლებას. ოპოზიციამ შინ თუ გარეთ ყველა უნდა დაარწმუნოს, რომ მათ შეუძლიათ, რომ ისინი ღირსნი არიან ამ ნდობის. ამ სტილითა და ამ ნაბიჯებით ეს არ მტკიცდება. ფართო სურათს თუ შევხედავთ. მთლიანობაში, ამ სტილისტიკის გამო, რომელიც ოპოზიციის „შეიარაღებაშია“, „ქართული ოცნების“ საქმე კეთდება.

***– ამ დაპირისპირებაშიც „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა დარჩნენ პირისპირ?***

– ასე ჩანს, რასაც ვიზუალურად ვუყურებთ. გასაგებია, რომ ყველა ოპოზიციური პარტია აპროტესტებს პროპორციული არჩევნების დანაპირების უკან წაღებას, მაგრამ, სად არიან ისინი, რატომ არ არიან წინა პლანზე?! ეს პოლარიზება ვის აძლევს ხელს, თუ არა „ქართულ ოცნებასა“ და ისევ ნაციონალურ მოძრაობას?! გასაგებია, რომ ნაციონალები აქტიურები არიან და მოქმედებენ.

***– შეიძლება, დანარჩენ ოპოზიციას არ უნდა, მათ გვერდით გამოჩნდეს?***

– უკვე გამოჩნდნენ, თუ გამოჩენაზეა საუბარი. მე მიკვირს, რატომ არ გამოდის დანარჩენი ოპოზიცია და რატომ არ ამბობს თავის სათქმელს, რატომ არ უკეთებს თავის შეთავაზებას საზოგადოებას. რა, ამაზე უკეთეს დროს ელოდებიან?! რადგან ჩუმად არიან, რადგან ჩრდილში არიან, პოლიტიკურ ველზეც დარჩნენ ნაციონალები და „ოცნება“. ამას უყურებს ახლა საზოგადოება.

პოლიტიკაში აქტიურობა ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის. მხოლოდ კულუარებსა და კაბინეტებში არ კეთდება პოლიტიკა. ხალხის დასანახად უნდა გააკეთო პოლიტიკა, თუ გინდა, მისი მხარდაჭერა მოიპოვო. ეს კარგად იცის ნაციონალურმა მოძრაობამ, ძველმაც და ახალმაც, მისმა განაყოფმა „ევროპულმა საქართველომ“. აქტიურობა ქმნის კლიმატს და არა – პოლიტიკური პარტიების რაოდენობა.

***– კვლავ აქტუალურია გიორგი კვირიკაშვილის პოლიტიკაში დაბრუნების საკითხი. ამბობენ, რომ მისი დასაყრდენი პარლამენტში ის ფრაქცია იქნება, რომელსაც „ოცნებიდან“ ახლად წამოსული თამარ ჩუგოშვილი და სხვები ქმნიან. გამორიცხავთ კვირიკაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას?***

– არა, როგორ გამოვრიცხავ. მართალია, მას არაერთხელ უთქვამს, რომ არ აპირებს პოლიტიკაში დაბრუნებას, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. შეიძლება, პოზიციები შეცვალოს, დაინახოს ამის აუცილებლობა, საკუთარი მზაობაც და მან მიიღოს ეს გადაწყვეტილება, რაც სავსებით რეალურია.

რაც შეეხება ამ ახალ გუნდს, მართლაც შეიძლება, ეს გუნდი მასთან ვიხილოთ, რადგან პოლიტიკური სტილით ამ ხალხსა და გიორგი კვირიკაშვილს ბევრი საერთო აქვთ. პოლიტიკური სტილი, ზომიერება, თავშეკავებულობა, საგარეო ვექტორები – ეს არის ის საერთო, რომელიც მათ აქვთ.

თუ ეს პროცესი მართლაც უფრო სერიოზულ სახეს მიიღებს, შეიძლება, საინტერესო იყოს და, არ არის გამორიცხული, საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური მომავალიც ჰქონდეთ.

***– თუ მართლაც ასეთი ერთობა შედგა და კვირიკაშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა, შეიძლება, მესამე ძალად განვიხილოთ?***

– ამის პერსპექტივები ნამდვილად არსებობს, თუ ამ ნაბიჯს გადადგამს გიორგი კვირიკაშვილი და შემოიკრებს იმ გუნდს, რომელზეც ვისაუბრეთ. კვირიკაშვილს შეუძლია, თუ მოინდომებს, რეალური ალტერნატივა შექმნას.

როდესაც ადამიანი პოლიტიკაში შემოდის, მას ბევრი დამატებითი ფაქტორი სჭირდება წარმატებისთვის – ცნობადობა, ნდობა და ა.შ. გიორგი კვირიკაშვილს ისინი უკვე აქვს. კიდევ ერთი ფაქტორი, ის დანაკლისი, რომელიც დღეს ოპოზიციას აქვს, შეიძლება, გიორგი კვირიკაშვილმა შეავსოს.

***– რას გულისხმობთ?***

– ლიდერს, რომელიც დღეს ოპოზიციას არ ჰყავს.

***– საერთაშორისო პარტნიორებიც იცნობენ.***

– დიახ, ეს ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია ასეთ დროს. დასავლეთი იცნობს კვირიკაშვილს და, შესაძლოა, სრულიად მისაღებიც იყო მათთვის.

# „მაჟორიტარები შესაძლოა ოპოზიციაში გადავიდნენ“

## მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილს ტყუილად ჰგონია, რომ მაჟორიტარები ნაყიდი ჰყავს“

ნონა ცაბაძე

**დღეს ოპოზიცია დიდი აქციისთვის ემზადება. როგორია მისი გეგმები, რისთვის ემზადება ოპოზიცია, რამდენად აქვს მოლოდინი, რომ ხელისუფლება რამეს დათმობს, სინამდვილეში რისთვის წავიდნენ კალაძე და თალაკვაძე კომოზე? — „ახალ თაობას“ ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გამყრელიძე ესაუბრა.**

***– ბატონო მამუკა, 25 ნოემბერს ოპოზიცია დიდი აქციისთვის ემზადება. რას აპირებთ, რა გეგმები გაქვთ?***

– აქცია აუცილებლად გაიმართება პარლამენტის წინ. ჩვენ შალვა ნათელაშვილის ოფისში კვლავ შევიკრიბეთ და ვისაუბრეთ გეგმებზე, სამოქმედო გეგმაზე, ასევე დავგეგმეთ მომავალი კვირის სტრატეგია.

***– აქცია მრავალრიცხოვანი იქნება?***

– ჩვენ ხომ ბევრჯერ გვისაუბრია ამაზე. ხალხი თავისი სურვილით უნდა გამოვიდეს, ხალხის მუდმივად მობილიზება ძალიან რთულია და საჭიროც არ არის. ადამიანს თავად უნდა გაუჩნდეს მოთხოვნა, რომ გამოვიდეს და პროტესტი გამოხატოს.

***– რატომ არ გამოდის? ვისმენთ შეფასებებს, რომ პროცესის დისკრედიტაცია მოხდა. ოპოზიციის ლიდერებმა მიშა სააკაშვილს ჩააკითხეს. ბევრი ამანაც დააბნია. ვერ გაიგეს, რა გინდათ. ამან დააზარალა პროცესი?***

– არავინ ვიცოდით, რომ გუბაზ სანიკიძე წასვლას აპირებდა. გუბაზი ჩვენს შეკრებებზე არასდროს მოსულა, ამიტომ მისი წასვლა ჩვენ არ გვეხება. ეს ჩვენთან შეთანხმებული არ ყოფილა. სულ ნაირ-ნაირი ხალხი გაგვაერთიანა ბიძინამ, ზოგს მოსწონს ერთმანეთი, ზოგს – არა. თუმცა, რაც მეტი მრავალფეროვნება იქნება, მით უკეთესი ოპოზიციური პროცესისათვის. ეს სიტუაცია პროცესს უფრო საინტერესოს ხდის.

***– კი გაერთიანდით, მაგრამ აქციებზე არ არის ხალხის ის რაოდენობა, რაც იყო 2012-ში, 2007-ში და ასე შემდეგ. რატომ არ გამოდის ხალხი, არ არის სიტუაცია უკიდურეს ზღვრამდე მისული?***

– მოდით, 2003 წელი გავიხსენოთ, 2003-ში არ ყოფილა ხალხის დიდი რაოდენობა, ხალხი მერე დაემატა, პროცესის დამთავრებისას. აქაც არავინ ცდილობს იმას, რომ მოყაროს ხალხი და იძახოს, აი, მე მეტი ხალხი გამოვიყვანეო. მოვლენ, მოვლენ, არ მოვლენ და ამასაც არა უშავს. მთავარია, რომ ეს პროცესი, დაბოქლომების, გადის რეგიონებშიც, ყველგან მოედო.

ამ ფონზე ხელისუფლება იმდენ სისულელეს აკეთებს და იმდენ შეცდომას უშვებს, რომ ეს ადამიანები თვითონ ითხრიან საფლავს. კანცელარიასთან რომ გვქონდა დაბოქლომების აქცია, ცოტა ადრე მომივიდა მისვლა, ძალიან სასაცილო სიტუაცია იყო შექმნილი.

***– მაინც რა იყო სასაცილო?***

– ის, რომ ოპოზიცია არსად ჩანდა და დაახლოებით 300 პოლიციელი მედგრად იცავდა კანცელარიის კარს. ძალიან კომიკური სიტუაცია იყო. რას იცავდნენ, გაუგებარი იყო.

***– საზოგადოების ერთი ნაწილისგან ისმის შეფასებები, რომ ეს პროცესი ოპოზიციასაც აზარალებს, რადგან სიტუაცია არასერიოზულ სახეს იღებს. თეატრალურ წარმოდგენებს მართავენო. ბევრი უკვე ხალისობს ამ ყველაფერზე.***

– მე თუ მკითხავთ, უნდა ვიხალისოთ. თავების დაჭრას არავის ვუპირებთ. უნდა ვიხალისოთ, აბა რა ვქნათ? აბსოლუტურად გადასულია გონებიდან ეს ხელისუფლება. იმდენ სისულელეს აკეთებენ, რომ ამას სერიოზულად ვერ





შეხედავ. კომოს ტბისა არ იყოს, წავიდნენ და მერე იძახდნენ, არ წავსულვართო.

***– რადგან წავიდნენ, ბარემ ეთქვათ კაცურად, რომ იყვნენ წასული...***

– ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ იქ სასეირნოდ არ წასულან. ვინც კომოზეა ნამყოფი, ამ პერიოდში კომოზე წასვლა დიდი ვერაფერი სიამოვნებაა.

***– მაშინ, რისთვის წავიდნენ?***

– რაღაცებზე მოსათათბირებლად წავიდნენ, ისე, რომ სხვას არ გაეგო.

***– სხვას ვის?***

– სწორედ თავისიანებს რომ არ გაეგოთ და არა ჩვენ. სრულიად შემთხვევით წააწყდნენ გიგი წერეთელსა და კანდელაკს. თავისიანებს უფრო დაემალნენ, ვიდრე ოპოზიციას.

***– შიგნითაც სერიოზული პრობლემები აქვთ?***

– ვაიმე, ძალიან დიდი! დეტალურად რას გეგმავენ კალაძე და თალაკვაძე, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ იქ სასეირნოდ არ ყოფილან. თავზე ემხობათ ქვეყანა და ტბაზე სასეირნოდ სცალიათ? აქ სულ სხვა ამბავია.

სერიოზული გაურკვევლობა აქვთ შიგნით. ზოგი წავიდა უმრავლესობიდან და თან არ წასულა, მაგალითად, ძიძიგური. ცხელ გულზე გააკეთა განცხადება და თქვა, მე კი მივდივარ, მაგრამ ბოლომდე კი არ მივდივარ, არ ვეთანხმები ბიძინას, მაგრამ ლანძღვას კი არ დავუწყებო. ეტყობა, შეეშინდა, ემანდ რამე არ შეიცვალოს და თავი არ მომაჭრანო. რატომღაც ჩათვალა, რომ ვინმე მაგის თავზე ინადირებს. შესაბამისად, არც იქ წვავს ბოლომდე ხიდებს და არც აქეთ. შიგნითვე დაიწყო სერიოზული რღვევის პროცესი.

***– ეს გაგრძელდება?***

– აუცილებლად. გადასარევად ხვდებიან, რომ მართლები არ არიან. უდიდესი შეცდომა დაუშვეს. ეს არ არის მხოლოდ საკუთარ ხალხთან დაშვებული შეცდომა. მათ საკუთარი ხალხის შიში ნაკლებად აქვთ. მათ ძალიან დიდი შიში აქვთ საერთაშორისო საზოგადოების. ყველა დონეზე გააკეთეს განცხადება, რომ გადადიოდნენ, თუმცა, მივიღეთ ის, რაც მივიღეთ!

***– რას დათმობს ივანიშვილი და როგორ უნდა მივიდეთ 2020-მდე? ან თუ მივალთ?***

– აბსოლუტურად არაპროგნოზირებადი პროცესია. აქ ლაპარაკი იმაზეა, რამდენად გაუძლებს „ქართული ოცნება“.

***– ანუ ნერვების ომი მიდის?***

– დიახ, ნერვების ომია. თქვენ რომ მეუბნებით, ბევრი ხალხი არ გამოდისო, ყველაზე საინტერესო სწორედ ეს პატარ-პატარა წერტილოვანი დარტყმები ხდება. ძალიან სასაცილოები არიან.

წალენჯიხის მაჟორიტარმა თავისი კაბინეტის კარს წინასწარ სახელურები მოაძრო, რომ არ დაებოქლომებინათ. ხვდებით, ხომ, როგორი წნეხის ქვეშ არიან. ბათუმში შეუთვალეს მერიის თანამშრომლებს, მოვდივართ, უნდა დაგაბოქლომოთო, მოყარეს პოლიცია, ალყაში მოაქციეს ბათუმის მერია და ოპოზიცია სხვაგან წავიდა.

ეს ფსიქოლოგიური დარტყმები მათ საბოლოოდ სპობს და ანადგურებს. ისიც გადასარევად იციან, რომ საზოგადოება არის მათ წინააღმდეგ. დღეს ვერავის იპოვით, ვისაც ეს ხელისუფლება მოსწონს.

***– ვადამდელი არჩევნები დაინიშნება?***

– ვადამდელი იქნება თუ ოქტომბერში ჩატარებული, რა მნიშვნელობა აქვს, თუ არჩევნები ჩატარდება ძველი სისტემით. თუმცა, არავინ იცის, სიტუაცია როგორ შემოტრიალდება. ისიც არავინ იცის, მაჟორიტარებში როგორ ატრიალდება სიტუაცია.

მათი ნდობა როგორ შეიძლება! შევარდნაძით დაწყებული, მიშათი გაგრძელებული და ბიძინათი დამთავრებული, ისინი ყველას მაჟორიტარები იყვნენ. ბიძინა ივანიშვილმა დაინახა, რომ პროპორციულში ვერ აგროვებს საკმარის რაოდენობას და იფიქრა, ვერ ვიყიდი მე ხალხს და ვერ მოვახერხებ მთავრობის დაკომპლექტებასო. ჩათვალა, რომ ნაყიდი ჰყავს მაჟორიტარები და მათთან უფრო ადვილი იქნება, მაგრამ არ იქნება ასე – მაჟორიტარები რა დროს გადავლენ ოპოზიციაში, არავინ იცის.

ასე რომ, არც ეს არის უსაფრთხო სიტუაცია ივანიშვილისთვის. თვითონ აიხლართება ამ ყველაფერში და საკუთარ თავს დაუგებს მახეს. ასეთი გამოთქმაა – ნიჩაბზე შესვესო, ივანიშვილიც უკვე ნიჩაბზეა დასმული.

ეს არის დროის ფაქტორი. დღეს თუ არა ხვალ, ეს ამბავი აუცილებლად მოხდება.

## ქუთაისში მანქანა მოცურდა და სხვა მანქანებს შეეჯახა

### 1 ადამიანი დაიღუპა, 4 დაშავდა



გუშინ, 24 ნოემბერს, ქუთაისში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა, 4 კი დაშავდა.

შემთხვევა ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე მოხდა – ერთ-ერთი ავტომობილი მოცურდა და გაჩერებულ ავტომობილებს შეეჯახა.

დამტვრეულია 3 ავტომობილი. ადგილზე სასწრაფო და პატრული ეკიპაჟები იყვნენ მობილიზებული.

დაშავებულები ახალგაზრდები არიან. ისინი კლინიკაში გადაიყვანეს. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

# რა შემთხვევაში ვერ იმუშავებს ადამიანი ერთდროულად რამდენიმე სამსახურში

## „ახალი კანონპროექტი დასაქმებულთა შრომითი უფლებების გაფართოებას ისახავს მიზნად“

საქართველოში შრომითი კანონმდებლობის კუთხით ბევრი ლაფსუსია. არც დამსაქმებელმა და არც დასაქმებულმა ჯეროვნად არ იციან თავიანთი უფლებები, რაც შრომის ბაზარზე არაჯანსაღ გარემოს ქმნის. სწორედ ამიტომაც მომზადდა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც შრომით კოდექსში მნიშვნელოვან სიახლეებს შეიტანს.

ამ ინიციატივამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. განსაკუთრებით გაუგებრობა მოჰყვა იმას, რომ ადამიანს აეკრძალება ორ და მეტ სამსახურში მუშაობა. იმის გასარკვევად, თუ რას მოიცავს შრომით კანონში შესწორებები და რა სიტუაციაა დღეს შრომით ბაზარზე, ევროპის უნივერსიტეტის რექტორს, ასისტენტ-პროფესორსა და ექსპერტ **თამარ კერძაიას** ვესაუბრეთ.

***– ქალბატონო თამარ, ბოლო დროს ბევრს საუბრობენ შრომითი კანონმდებლობის ცვლილებებზე. ამ ეტაპზე კანონმდებლობა დამსაქმებლის ინტერესებს უფრო იცავს თუ დასაქმებულის?***

– შრომითი ურთიერთობების ახლებურად მოწესრიგება ჯერჯერობით კანონპროექტის დონეზეა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ცვლილებების განხილვა, რომელშიც სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად ჩართულია სამოქალაქო სექტორი, ბიზნესასოციაციები და ექსპერტები.

ახალი კანონპროექტი მიზნად ისახავს დასაქმებულთა შრომითი უფლებების გაფართოებას. 2013 წლამდე არსებული კოდექსი უფრო მეტად ორიენტირებული იყო დამსაქმებლის ინტერესებზე. დასაქმებულის უფლებები არ იყო გარანტირებული კანონით და შეთანხმების საგანს წარმოადგენდა, რასაც ზოგჯერ ორგანიზაციები დასაქმებულთა ინტერესების საწინააღმდეგოდ იყენებდნენ.

2013 წლიდან შრომით კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ძირითადად დასაქმებულის უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული. ამჟამინდელი კანონპროექტი კი დასაქმებულთა დაცვის კიდევ უფრო მაღალ სტანდარტს ადგენს, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს დამსაქმებელი ორგანიზაციების მეტ პასუხისმგებლობას.

კერძო სექტორის ნაწილის აზრით, შრომის კოდექსის კანონპროექტის შემოთავაზებული ვერსია დასაქმებულის უფლებების შეზღუდვასაც გამოიწვევს. საუბარია იმ ნორმაზე, რომლის მიხედვითაც ზეგანაკვეთური მუშაობისთვის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება არანაკლებ შრომის ანაზღაურების ნორმირებული საათობრივი განაკვეთის 125 პროცენტით.

ბიზნესსექტორის ნაწილის აზრით, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების მოცულობა დამსაქმებლისა და დასაქმებულის შეთანხმების საგანს უნდა წარმოადგენდეს. ზემოაღნიშნული რეგულაციის პირობებში დამსაქმებელს, ზედმეტი დანახარჯების თავიდან აცილების მიზნით, შესაძლოა მოუწიოს ზეგანაკვეთურ მუშაობაზე უარის თქმა და დასაქმებულთა სამუშაო ნორმის ისეთი დამძიმება, რომ დასაქმებულებმა ძირითად სამუშაო დროში შეასრულონ ზეგანაკვეთური სამუშაოს ტოლფასი სამუშაო ან ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების პარალელურად შესაძლოა, მოხდეს პროდუქციასა და მომსახურებაზე ფასების გაძვირება.

***– ყველაზე ხშირად საქართველოში დასაქმებულების რა უფლებები ირღვევა?***

– პრაქტიკაში სხვადასხვაგვარ დარღვევას ვაწყდებით, როგორიცაა, მაგალითად, ვადიანი ხელშეკრულებების დადება ისეთ შემთხვევებში, სადაც უვადო ხელშეკრულება უნდა იქნეს დადებული. ასეთ შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ხელშეკრულებაში მითითებული ვადისა, სასამართლო მაინც უვადოდ მიიჩნევს ხელშეკრულებებს, თუ მათი ხანგრძლივობა 30 თვეს აღემატება.

ასევე, ხშირია შემთხვევები, როდესაც კანონმდებლობით დაწესებული 40- საათიანი ნორმირებული სამუშაო დროის განაწესი ირღვევა. ეს დარღვევები პირობითად ორ ნაწილად შეგვიძლია დავყოთ.

ერთი შემთხვევაა, როცა დასაქმებულის ინტერესებშია, იმუშაოს და მეტი და მეტი ანაზღაურება მიიღოს. ამგვარად დასაქმებულთათვის 40-საათიანი სამუშაო დროის შეზღუდვა მათი უფლებების დარღვევა უფროა, ვიდრე დაცვა.

მეორე შემთხვევაა, როცა დასაქმებული 40 საათზე მეტი მუშაობის წინააღმდეგია, მაგრამ სამსახურის დაკარგვის შიშით ვერ აპროტესტებს.

40-საათიანი შეზღუდვა დასაქმებულთა ნაწილისთვის ძალიან არახელსაყრელია, ხოლო დასაქმებულთა მეორე ნაწილისთვის – ხსნა არაკეთილსინდისიერი დამსაქმებლისაგან.

***– მე თუ არ გავაპროტესტე, კვირაში 40 საათზე მეტს რომ ვმუშაობ, შრომის ინსპექტორი ამას საიდან გაიგებს?***

– შრომის ბაზარზე კომპანიათა ნაწილი იცავს შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, ზოგი კომპანია კი ამას არ აკეთებს და სხვადასხვა მექანიზმის საშუალებით ცდილობს რეგულაციების გვერდის ავლას.

ამგვარი კომპანიები, ერთი მხრივ, არათანაბარ პირობებში დგებიან კონკურენციის თვალსაზრისით იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც იცავენ შრომით სამართლებრივ ნორმებს, მეორე მხრივ, ისინი უხეშად არღვევენ დასაქმებულთა ინტერესებს.

ამგვარი უთანასწორობისა და სამართალდარღვევის აღმოფხვრის მიზნით არსებითად მნიშვნელოვანია ძლიერი შრომის ინსპექტორის აპარატის შექმნა. ამასთან, ვფიქრობ, ეს კანონპროექტის ყველაზე რთულად აღსრულებადი ნაწილია. წარმოიდგინეთ, როგორ უნდა დაადგინოს ინსპექტორმა, რამდენ საათს მუშაობს დასაქმებული, თუ მას ხელშეკრულებაში 40 საათი უწერია, მაგრამ რეალურად მეტს მუშაობს და თანამშრომელთა სამუშაო საათების აღწერა ელექტრონული ფორმით არ ხდება. ასეთ შემთხვევებში ძალიან გართულდება ინსპექტირებისას იმის მტკიცება, თუ როდის დაიწყო და



როდის ასრულებს თანამშრომელი მუშაობას.

შრომის ინსპექტირება შესაძლოა მაღალი რისკის შემცველი იყოს თავად დამსაქმებლებისთვის კერძო ბიზნესის საქმიანობის შემოწმების ჭრილში, მით უმეტეს, როცა შრომის ინსპექტორს წინასწარი შეტყობინების გარეშე შეეძლება ორგანიზაციაში შესვლა და ინსპექტირების განხორციელება. მნიშვნელოვანია, რომ შრომის ინსპექტორის უფლებამოსილება და ინსპექტირების პროცედურები იყოს გონივრულად გაწერილი.

მისასალმებელია, რომ შრომის ინსპექციაში განცხადების წარდგენა აბსოლუტურად კონფიდენციალურია, რაც, ერთი მხრივ, იცავს დასაქმებულს სამუშაოს პოტენციური დაკარგვისაგან, მეორე მხრივ კი, დამსაქმებელს უჩენს შიშს, რომ დასაქმებულის უფლებების დარღვევის შემთხვევაში იგი ანონიმურად მიმართავს შრომის ინსპექტორს შესაბამისი რეაგირებისთვის.

***– ახალმა საკანონმდებლო ინიციატივამ ბევრი გაუგებრობა გამოიწვია, რადგან ადამიანს რამდენიმე სამსახურში მუშაობა აეკრძალება. საქართველოში კი ბევრი, ანაზღაურების სიმცირის გამო, ორ სამსახურში მაინც მუშაობს.***

– რამდენიმე სამსახურში მუშაობა შესაძლოა ვერ შეძლოს დასაქმებულმა, თუ, ჯამში, მისი სამუშაო საათები 48 საათს გადააჭარბებს. ოღონდ ეს აკრძალვა გავრცელდება რისკის შემცველი ეკონომიკური საქმიანობის სექტორებზე, რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

ზოგადად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, დასაქმებულის შრომის ანაზღაურება ზოგ შემთხვევებში არ არის საკმარისი ოჯახის ღირსეული რჩენისათვის, რისთვისაც დასაქმებულს უწევს დამატებითი სამუშაოს შესრულება. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა გრძელდება და ვნახოთ, საბოლოოდ რა ფორმით ჩამოყალიბდება.

***– შეიძლება, ამ კანონს მოჰყვეს ისეთი გვერდითი მოვლენები, როგორებიცაა თანამშრომლების არგაფორმება ან სხვა მექანიზმები?***

– ზოგადად ძალიან მნიშვნელოვანია მაქსიმალური ანალიზი იმისა, თუ რა გავლენას მოახდენს შემოთავაზებული ცვლილებები ეკონომიკაზე, მთლიან შიდა პროდუქტზე და სხვა რაოდენობრივ მაჩვენებლებზე. ასევე, აუცილებლად წინასწარ მაქსიმალურად უნდა იყოს განჭვრეტილი ის სავარაუდო ქმედებები, რითაც ბიზნესის ნაწილი შეეცდება რეგულაციებისთვის თავის არიდებას.

შესაძლოა, კანონისაგან თავის არიდების მიზნით შეიქმნას ე.წ. ჩრდილოვანი შრომითი ურთიერთობები, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს დასაქმებულის მდგომარეობას, ვინაიდან მისი შრომითი ურთიერთობა საერთოდ საკანონმდებლო რეგულირების მიღმა აღმოჩნდება. ამდენად, ახალ რეგულაციებს დასაქმებულის ინტერესების რეალური დაცვა მოჰყვება მაშინ, როცა ეფექტურად ამუშავდება კანონის აღსრულების მექანიზმი, მათ შორის, შრომის ინსპექტირება.

***– ახალი საკანონმდებლო ინიციატივით მნიშვნელოვანი სიახლეებია დეკრეტული შვებულების კუთხით.***

– დიახ, მნიშვნელოვანი სიახლეა მამების დეკრეტული შვებულების კუთხით. აქამდე შრომის კოდექსი მამების დეკრეტულ შვებულებას არ კრძალავდა, მაგრამ არც არეგულირებდა, რაც რეალურად მამების მხრიდან დეკრეტული შვებულებით სარგებლობას აფერხებდა. უკეთესი მდგომარეობა იყო საჯარო სამსახურებში. იქ კანონი უფრო კონკრეტულ რეგულაციებს შეიცავდა მამის მხრიდან დეკრეტული შვებულებით სარგებლობის შესახებ.

ახალი შრომის კოდექსის კანონპროექტით, მამებს ერთმნიშვნელოვნად ეძლევათ უფლება, ისარგებლონ როგორც ანაზღაურებადი, ისე ანაზღაურების გარეშე დეკრეტული შვებულებით.

საქართველოში ჩატარებულმა არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მამების ჩართულობა ნაკლებია ბავშვების აღზრდაში. იმედია, ეს სიახლე წაახალისებს მამებს, მეტი დრო გაატარონ შვილებთან და მეტად ჩაერთონ მათ აღზრდაში.

აქაც კანონის იმპლემენტაცია საჭიროებს დაკვირვებას, თუ რამდენად იქნება მიღწეული კანონის მიზანი, წაახალისოს მამის ჩართვა ბავშვის აღზრდაში. ეს ძალიან პერსონიფიცირებული თემაა და, კანონის გარდა, საზოგადოებრივმა აზრმაც უნდა იმუშაოს. შრომის ინსპექტორს ვერ მოვთხოვთ, გააკონტროლოს, ხომ არ ხდება მამის მხრიდან დეკრეტული შვებულების არა ბავშვის აღზრდისთვის, არამედ სხვა მიზნებისთვის გამოყენება.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ შრომის კოდექსში დაგეგმილი ცვლილებები, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა საკანონმდებლო ცვლილება, შესაძლოა, ვერ იყოს ასი პროცენტით სრულყოფილი. ამიტომაც მნიშვნელოვანია პრაქტიკაში მის იმპლემენტირებაზე დაკვირვება, რაც ხარვეზებსა და შემდგომში მისი დახვეწის საჭიროებას დაგვანახებს.

**ავთო ჩიტიძე**

# ბუთა რობაქიძის საქმეზე პროკურორ ირაკლი წერეთელს ბრალი წაუყენეს



ბუთა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე დიდუბე-ჩუღურეთის ყოფილ პროკურორ ირაკლი წერეთელს ბრალი წაუყენეს.

ამის შესახებ ბუთა რობაქიძის მამა სოსო რობაქიძემ 23 ნოემბერს ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ირაკლი წერეთელმა პროკურატურასთან ითანამშრომლოს და თქვას სიმართლე.

– მინდა გითხრათ, რომ დღეს კიდევ ერთ ადამიანს წაუყენეს ბრალი, დიდუბე-ჩუღურეთის ყოფილ პროკურორს ირაკლი წერეთელს და ვნახოთ, რა იქნება, სასამართლო ჩატარდება. უნდა ითანამშრომლოს, თანამშრომლობის შანსი ჰქონდა ზურაბ მიქაძესაც. ვინც კი სიმართლე თქვა, აღიარა და ითანამშრომლა პროკურატურასთან, თუნდაც ზურა ბაქრაძე, მე ყველა შევინდე, – განაცხადა სოსო რობაქიძემ.

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ადასტურებენ, რომ ირაკლი წერეთელს ბუთა რობაქიძის საქმეზე ბრალი წარედგინა.

წერეთელს ბრალი წარდგენილი აქვს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს.

შეგახსენებთ, რომ ბუთა რობაქიძის საქმეზე ბრალი წარუდგინეს ასევე ირაკლი ოქრუაშვილს და ზურაბ ადეიშვილს.

ზურაბ ადეიშვილისა და ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ გამოტანილია დადგენილება ბრალდების შესახებ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან რვა წლამდე ვადით.

# ავარიაში

## ხაშური-ბორჯომის გზაზე 4 ადამიანი დაშავდა

ხაშური-ბორჯომის საავტომობილო გზაზე, სოფელ ტეზერთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 4 ადამიანი დაშავდა.

დაშავებულთაგან 3 „გორმედის“ ქსელის ხაშურის კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, 1 კი „ევექსის“ კლინიკაშია მოთავსებული.

დაშავებულთა შორის 1 არასრულწლოვანია.




– ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად სასწრაფო დახმარების ჯგუფებმა ჩვენს კლინიკაში 3 დაშავებული შემოიყვანეს. მამაკაცს ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა აღენიშნება, ასევე აქვს სხვა ტრავმული დაზიანებები. დაშავებულ ქალს ჩატარებული კვლევების საფუძველზე ტვინის შერყევა დაუდგინდა.

ერთ-ერთი პაციენტი 16 წლის მოზარდია. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია, თუმცა მისი ბავშვთა სპეციალიზებულ კლინიკაში, იაშვილის საავადმყოფოში გადაყვანა გადაწყდა, – განაცხადა ხაშურის კლინიკური საავადმყოფოს ექიმმა სოსო გელაშვილმა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს.

# ვარკეთილში აკრძალული ღიაკამერიანი გამათბობლით 2 ბავშვი მოიწამლა



თბილისში ცეოთი ორი არასრულწლოვანი მოიწამლა.

ამის შესახებ ინფორმაციას „თბილისი ენერჯი“ ავრცელებს.

კომპანიის ცნობით, შემთხვევა რამდენიმე დღის წინ ვარკეთილში მოხდა.

„თბილისი ენერჯის“ ცხელ ხაზზე შეტყობინება შევიდა, რომ ვარკეთილის რაიონში, ერთ-ერთ მისამართზე, ორი მცირეწლოვანი ბავშვი ინტოქსიკაციით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ეჭვი ცეოზე იყო. მისამართზე გასულმა სწრაფი რეაგირების ჯგუფმა გაზის გაჟონვა ვერსად დააფიქსირა, თუმცა აღმოჩნდა, რომ გაქირავებულ ბინაში, სადაც ორი მცირეწლოვანი მოიწამლა და სიკვდილს გადარჩა, აკრძალული და მკვლელი ღიაკამერიანი გამათბობელი იყო დამონტაჟებული.

ბავშვების ინტოქსიკაციის მიზეზიც ეს ღია წვის კამერიანი გამათბობელი აღმოჩნდა. ასევე დადგინდა, რომ აღნიშნულ მისამართზე „თბილისი ენერჯის“ ჯგუფმა ერთხელ უკვე ჩაჭრა მკვლელი და საშიში დანადგარი, თუმცა მოგვიანებით იგივე დანადგარი თვითნებურად დააერთეს ქსელზე“, – აცხადებენ კომპანიაში.

მოწამვლისა და გარდაცვალების შემთხვევების 70 პროცენტი გაქირავებულ ან დაგირავებულ ბინებში ხდება.

„გაქირავებულ ან დაგირავებულ ბინებში ბინის მეპატრონეები არ იცავენ გაზის უსაფრთხოდ მოხმარების წესებსა და მკვლელ ღიაკამერიან დანადგარებს ამონტაჟებენ ბინაში, შემდეგ კი აქირავებენ.

კომპანია „თბილისი ენერჯი“ კატეგორიულად გაფრთხილებთ – ღია წვის კამერიანი დანადგარები სახიფათოა თქვენი სიცოცხლისათვის. გაითვალისწინეთ სპეციალისტების რჩევები და არ დააერთოთ თვითნებურად ჩახსნილი დანადგარები. ხშირად გაანიავეთ ფართი და არ დატოვოთ უყურადღებოდ გაზის დანადგარები“, – აღნიშნულია კომპანიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ავარია გორთან

## 2 ადამიანი დაშავდა



ავარია მოხდა გორში. შინდისის გზატკეცილზე ერთმანეთს 2 მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

დაშავდა 2 ადამიანი, მათ შორის 1 არასრულწლოვანია.

მძიმე დაზიანებებით ისინი კლინიკა „გორმედში“ შეიყვანეს. მათ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდათ.

შემთხვევის ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

მომხდარზე გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო.

# ყაზბეგში სომხეთის მოქალაქეს კოკაინი და ჰაშიში აღმოუჩინეს

საბაჟო-გამშვებ პუნქტ „ყაზბეგში“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა ეჭვის საფუძველზე სომხეთის მოქალაქის დ.გ.-ს მართვის ქვეშ არსებული ავტობუსის დეტალური დათვალიერების შედეგად ნარკოტიკული ნივთიერებები: 149 გრამი კოკაინი და 64 გრამი ჰაშიში გამოავლინეს.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს ყაზბეგის კრიმინალური პოლიციის სამმართველოს გადაეცა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაიწყო.

ჩანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები და მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

## ქალს დიდი მკერდი პრობლემებს უქმნის



ინგლისის ქალაქ ბრაიტონის მცხოვრები ქალბატონი ამტკიცებს, რომ დიდი მკერდი ცხოვრებას ურთულებს და სოციალური ქსელის მომხმარებლებს თხოვნით მიმართა, მკერდის დასაპატარავებლად ოპერაციისთვის ფულის შეგროვებაში დაეხმარონ.

26 წლის ჰელენ კრისტმა აღიარა, რომ 16 წლის ასაკიდან მისმა მკერდმა სწრაფად გაზრდა დაიწყო. ამის გამო მას თანაკლასელები დასცინოდნენ და აღიზიანებდნენ. ქუჩაში კი მის გაცნობას მოზრდილი მამაკაცები ცდილობდნენ და ეს კი მას აშინებდა და აბრაზებდა.

კრისტის ზურგის გამუდმებულები ტკივილები და აქედან გამომდინარე უძილობა აწუხებს. ის მოხერხებულად დაწოლას ვერ ახერხებს. მისმა მკერდმა 12 ზომას მიაღწია და იმისთვის, რომ ეს დაფაროს, მამაკაცის XXXL-ს ზომის მაისურებს იცვამს. გოგონას ასევე ის ფაქტიც აკომპლექსებს, რომ დიდი ზომის ჩასაცმელის გამო მსუქან ადამიანად გამოიყურება. იმისთვის, რომ გარშემო მყოფთა ყურადღება საკუთარი მკერდიდან გადაიტანოს, კაშკაშა ფერის მაკიაჟებს იკეთებს.

ბრიტანელს იმდენად რცხვენია საკუთარი გარეგნობის, რომ არასოდეს შიშვლდება ახლობლების გარემოცვაშიც კი. კრისტმა ასევე აღნიშნა, რომ ძალიან უჭირს საჭირო ზომის ბიუსჰალტერის შოვნა, ამასთან ძალიან ძვირი ღირს და მალე ფუჭდება. მისი მტკიცებით, დიდი მკერდი მის ცხოვრებას აუტანელს ხდის.

## სამი შვილის დედა დუნდულების გაზრდის ოპერაციას ემსხვერპლა



ინგლისელი ქალბატონი ლია კემბრიჯი თურქეთში ჩავიდა, რათა „ბრაზილიური დუნდულები“ დაეყენებინა, მაგრამ ოპერაციის დროს დაიღუპა.

29 წლის სამი შვილის დედამ ელიტურ საავადმყოფოში ოპერაციაში 6,5 ათასი ფუნტი სტერლინგი ნაღდი ფულით გადაიხადა. კემბრიჯისთვის ცხიმი უნდა მოეცილებინათ თეძოებიდან და ის დუნდულებში უნდა ჩაეტვირთათ, მაგრამ ოპერაციის დროს ქალის ვენაში მოხვდა ცხიმი, რის შემდეგაც მას გულის შეტევა დაემართა და გარდაიცვალა.

პლასტიკურმა ქირურგმა ალი უკანმა კემბრიჯის პარტნიორ სკოტ ფრენკს უთხრა, რომ ამ ოპერაციის დროს არის „სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხი“. მისი თქმით, ყოველ ორგანიზმს აქვს თავისებურებები, ამიტომ ნებისმიერი ქირურგი უნდა ეცადოს, რომ ვენისა და არტერიებისგან თავი შორს დაიჭიროს.

ფრენკსმა საავადმყოფოსა და მისი ადვოკატების წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა, ვინაიდან მათ განაცხადეს, რომ კემბრიჯს ოპერაციის წინ ნარკოტიკები ჰქონდა მიღებული. ქალის სხეულის გაკვეთამ აღნიშნული ფაქტი ვერ გამოავლინა. საქმის სასამართლო განხილვა გრძელდება.

## ემილი რატაკოვსკი 90-იანი წლების აქსესუარებით იწონებს თავს



ამერიკელმა სუპერმოდელმა და მეწარმემ ემილი რატაკოვსკიმ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე ახალი ფოტოსურათი გამოაქვეყნა.

ფოტოზე რატაკოვსკი აუზის გვერდით ბალახზე გაფენილ ზეწარზე ლეოპარდულ საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი ზის, რომელიც მისი ბრენდის ნამორატა ვუმენის ნაწარმია, თავზე კი იმავე ფერის პანამა ახურავს, აქსესუარი, რომელიც პოპულარობით გასული საუკუნის 90-იან წლებში სარგებლობდა.

– ლეოპარდული ოცნებები, – დაწერა ფოტოს კომენტარში ამერიკელმა სუპერმოდელმა.

ინტერნეტ-მომხმარებლებმა სათანადოდ შეაფასეს ემილი რატაკოვსკის გარეგნობა და აღფრთოვანებული კომენტარებიც არ დაიშურეს.

– ეს თავად შენ ხარ ოცნება, – დაწერა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

– შენ მეტისმეტად ლამაზი ხარ, – დაეთანხმა მეორე.

თუმცა საცურაო კოსტუმის თაობაზე შეხედულებები ორად გაიყო. ერთნი ბიკინის შეძენის სურვილს გამოთქვამდნენ, მეორენი კი მათ არ ეთანხმებოდნენ და უგემოვნოს უწოდებდნენ.

## 280 მილიონ დოლარად ღირებული ზურმუხტი განადგურდა



კალიფორნიის გამანადგურებელი ტყის ხანძრის შედეგად ერთ-ერთი დაზარალებული ამტკიცებს, რომ ცეცხლმა მისი უზარმაზარი ზურმუხტი გაანადგურა.

სასამართლო საბუთების თანახმად, ძვირფასი ქვის წონა 227 კილოგრამს შეადგენდა და ის 280 მილიონ დოლარად იყო შეფასებული. მისი მფლობელის მტკიცებით, ზურმუხტი 2018 წლის ნოემბერში „კემპის“ ხანძრის დროს განადგურდა.

მამაკაცი თვლის, რომ ზარალი მას კომპანია Pacific Gas and Electric Company-მ უნდა აუნაზღაუროს, რომელიც ხანძრის გაჩენაში დამნაშავედ ცნეს. გარდა ამისა, მან და მისმა მეუღლემ ოთხი განმეორებადი განაცხადი შეიტანეს ხანძრისგან მიყენებული 4,5 მილიონი დოლარის სხვა ზარალის ანაზღაურებაზე.

ზურმუხტის მფლობელის პრეტენზიების მართებულობაში ეჭვი შეიტანეს კომპანიის იურისტებმა. მათ სასამართლოს მიმართეს და იმედი აქვთ, რომ მამაკაცის დაკითხვის საშუალება მიეცემათ, ასევე მოახერხებენ იმ საბუთების შემოწმებას, რომლებიც განადგურებული ძვირფასი ქვის ღირებულებას ადასტურებენ.

## ლეოპარდი პითონზე თავდასხმის შემდეგ თავად ძლივს გადარჩა



კენიის მასაი-მარას ნაკრძალში ტურისტები ლეოპარდისა და პითონის ორთაბრძოლის თვითმხილველები გახდნენ. თვითმხილველის მიერ გადაღებული კადრები იუთუბიში კრიუგერის პარკის არხზე გამოქვეყნდა.

საფარის მონაწილეების ყურადღება მიიპყრო ლეოპარდმა, რომელიც ბალახებში მყოფ იეროგლიფურ პითონს თავს დაესხა. ის მთელი ძალით უწევდა წინააღმდეგობას.

– როდესაც ლეოპარდს გველი შემოეხვია და დახრჩობა დაუწყო, ვიფიქრეთ, რომ მას ორთაბრძოლა წაგებული ჰქონდა, – ყვება საფარის ორგანიზატორი კლინტ სეინტი, – მაგრამ ლეოპარდმა ფანტასტიკური მოქნილობა გამოავლინა, ქვეწარმავალს გაუსხლტა და ისეთი მანძილით დაშორდა, სადაც პითონი ვერ მისწვდებოდა.

ამის შემდეგაც ლეოპარდი აგრძელებდა გველის კბენასა და კაწვრას, სანამ მიზანს არ მიაღწია.

– საბოლოოდ გველმა მრავალი ჭრილობა მიიღო, განსაკუთრებით თავის არეში და ორთაბრძოლაში დამარცხდა, – ამბობს სეინტი, – ლეოპარდიც საკმაოდ დაშავდა. ყველაზე თვალშისაცემი იარა მარჯვენა წინა თათზე აღენიშნებოდა. ეს განსაკუთრებით აშკარა იყო, როდესაც ის ორთაბრძოლის ადგილს კოჭლობით გაეცალა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## უკრაინამ გოლოდომორის მსხვერპლთ პატივი მიაგო

მე-20 საუკუნეში უკრაინამ 3 დიდი შიმშილობა გადაიტანა: 1921-23, 1932-33 და 1946-48 წლებში.



აქედან ყველაზე მასშტაბური 1932-33 წლების გოლოდომორი იყო, რომელიც სტალინის ბრძანებით საგანგებოდ მოაწყვეს. მან 5-8 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

გოლოდომორის მსხვერპლთა პატივსაცემად მთელ ქვეყანაში სამგლოვიარო მიტინგები გაიმართა.

პრეზიდენტმა ზელენსკიმ და მისმა მეუღლე ელენამ დაღუპულთა მემორიალთან ყვავილები დააწყვეს.

– აი, რა მოგვიტანა რუსეთის იმპერიამ! ამიტომ მოსკოვური რევანში არ უნდა დავუშვათ! – განაცხადა ზელენსკიმ.

## საფრანგეთში ქალები დაიცვეს




ქალთა მიმართ ძალადობის გასაპროტესტებლად საფრანგეთში მასშტაბური აქცია გაიმართა.

დემონსტრაციები პარიზში მას შემდეგ დაიწყო, რაც ცნობილი გახდა, რომ მიმდინარე წელს საფრანგეთში ოჯახურ ძალადობას 130 ქალი ემსხვერპლა.

საპროტესტო აქციის მონაწილეები იისფერ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილი, რაც ქალების უფლებებისათვის ბრძოლის მთავარ სიმბოლოდ იქცა.

აქციის ორგანიზატორების განცხადებით, პარიზში გამართულ აქციას 100.000 მონაწილე ესწრებოდა, ქვეყნის მასშტაბით კი, ჯამში – 150.000.

დემონსტრანტები ხელისუფლებას ქალების უფლებების დასაცავად ახალი ზომების მიღებისკენ მოუწოდებდნენ.

## სამოაში წითელას ვირუსს 22 ადამიანი ემსხვერპლა



სამოაში წითელას ვირუსს 22 ადამიანი ემსხვერპლა.

ბოლო 1 კვირის განმავლობაში სამოაში წითელას ინფექციით დაღუპულთა რაოდენობა გასამმაგდა. გარდაცვლილებს შორის უმეტესობა 5 წლამდე ბავშვია.

ეპიდემიის გამო ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. შეწყვეტილია სასწავლო პროცესი.

სამოაში ამ დროისთვის წითელას ინფექციის 1.800-მდე შემთხვევა დაფიქსირდა. ექიმების განცხადებით, სახელმწიფოში წითელას გავრცელების მთავარი მიზეზი სასმელი წყლის დაბინძურება გახდა.

იუნისეფმა სამოას წითელასთან საბრძოლველად 110.500 დოზა მედიკამენტი გამოუყო. ამასთანავე, ავსტრალიამ ქვეყანაში ექიმებისა და ჯანდაცვის ექსპერტების გუნდი გაგზავნა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# თსუ გალიდერდა

**ტიტეზი-თსუ 66:85**
**(14:28, 12:21, 21:11, 19:25)**

ერთმანეთს დაკარგული ქულებით ლიდერი გუნდები – თსუ და ტიტები შეხვდნენ. 2-ვე მათგანს მიმდინარე ჩემპიონატში 2 მარცხი ჰქონდა, შესაბამისად, გამარჯვებული ცხრილში დაწინაურდებოდა და ლიდერობას გაიმყარებდა. შეხვედრა ვერ გამოდგა ისეთი დაძაბული, როგორც სატურნირო ცხრილის გათვალისწინებით ივარაუდებოდა. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა თსუ-ელებმა 19 ქულის სხვაობით – 85:66 დაამარცხეს ლაშა გამყრელიძის ტიტები და სუპერლიგაში პირველ ადგილზე გამყარდნენ.

მატჩი უნივერსიტეტელთა გაქცევით დაიწყო. 4 წუთის შემდეგ თსუ 19:4 იგებდა და ტიტების მწვრთნელმა, ცხადია, წუთშესვენება აიღო. ამან ვითარება ოდნავ კი გამოასწორა, თუმცა უნივერსიტეტელებმა სწრაფ კონტრშეტევებზე აწყობილი თამაში კვლავ განაგრძეს და იმ კომფორტულ უპირატესობას, რომელიც დასაწყისშივე მოიპოვეს, არ თმობდნენ. თსუ ბურთს სწრაფად ათამაშებდა როგორც მთელს მოედანზე, ისე პერიმეტრზე, რისი წყალობითაც სასროლ პოზიციებზე დარჩენილი კალათბურთელები – სანდრო სანაძე, დევიდ მაკფარლანდი და რიკი მედისონი მიზანში არტყამდნენ და უნივერსიტეტელებმა დიდი შესვენებისთვის 23-ქულიანი ლიდერობა გაიფორმეს – 49:26.

მე-3 პერიოდიდან ტიტებმა თამაში გამოაკეთა, თუმცა იმდენად ვერა, რომ მოედანზე ვითარება რადიკალურად შეეცვალა. რიჩარდ მათიაშვილისა და ტრისტინ უოლეს შედეგიანობით პერიოდის მიწურულს გამყრელიძის გუნდმა ჩამორჩენა 10 ქულამდე შეამცირა, თუმცა სირენის თანხლებით დევიდ მაკფარლანდმა სამქულიანი ჩააგდო და ბოლო პერიოდს თსუ 13-ქულიანი ლიდერობით შეხვდა.

დასკვნით მეოთხედში თსუ-მ დაცვა გაამაგრა და მეტოქეს ყველა მცდელობა, თამაში შემოებრუნებინა, გაუქარწყლა. უნივერსიტეტელები გამარჯვებამდე დამაჯერებლად მივიდნენ და მიმდინარე სუპერლიგაში 7 მატჩში მე-5 გამარჯვება მოიპოვეს.

თსუ-ში 19 ქულით ბომბარდირი გახდა მაკფარლანდი, თუმცა ყველაზე შედეგიანი გიორგი კორსანტია იყო, რომელმაც 10 ქულა, 15 მოხსნა, 3 პასი და 3 დაფარება მიითვალა. რიკი მედისონმა 15 ქულა ჩააგდო, ხოლო სანდრო სანაძემ – 13. ტიტებში 19 ქულით, 10 მოხსნითა და 6 პასით საუკეთესო იყო ტრისტინ უოლე. 15 ქულა და 7 მოხსნა რიჩარდ მათიაშვილის ანგარიშზე დაგროვდა.

**ცხუმ აფხაზეთი-დინამო 83:88**
**(13:25, 21:22, 28:21, 21:20)**

გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა დინამომ ცხუმ-აფხაზეთი 5 ქულის სხვაობით – 88:83 დაამარცხა. შეხვედრა დინამოელთა ლიდერობით მიმდინარეობდა. მუჰამედ ტაჩის გაწვრთნილი გუნდი მთელი თამაშის განმავლობაში უგებდა ცხუმელებს და კარგად დაწყებული საქმე გამარჯვებით დააგვირგვინა.

პირველი პერიოდი დინამოელებმა 25:13 მოიგეს და უპირატესობა დიდ შესვენებამდე კიდევ ქულით გაზარდეს. ლუკა ბულაშვილის, ტაილერ უოლერისა და სედრიკ ქაუნსილის წინამძღოლობით თბილისელებს შეტევაში პრობლემები არ ჰქონიათ, რის ხარჯზეც პირველი ტაიმის შემდეგ 13 ქულით იგებდნენ. დიდი შესვენების შემდეგ ზვიად ანთაძის გაწვრთნილმა ცხუმელებმა თამაში გამოასწორეს და კვან უოლერის მექულეობით ჩამორჩენა 4 ქულამდე შეამცირეს.

კრიტიკულ მომენტში დინამოელები მაგრად დადგნენ. დაცვის ხარჯზე მოახერხეს ცხუმელთა შეტევებისაგან თავდაცვა და ბოლო პერიოდში ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნეს. ანთაძის გუნდს ძალა არ ეყო, რომ თამაში შემოებრუნებინა და მიმდინარე სუპერლიგაში 3 მოგების წილ მე-3 მარცხი განიცადა. ხოლო დინამო 4 მოგებითა და 2 მარცხით ბათუმს მე-2 პოზიციაზე გაუთანაბრდა.



დინამოს 24 ქულითა და 8 შედეგიანი გადაცემით ლუკა ბულაშვილმა ულიდერა. 22 ქულა და 12 მოხსნა ჰქონდა სედრიკ ქაუნსილს, ხოლო ტაილერ უილიამსმა 17 ქულა, 7 მოხსნა და 7 პასი მიითვალა. ცხუმ-აფხაზეთში ერთი მოთამაშე ასცდა 10-ქულიან ზღვარს და ის გახლდათ 36 ქულის მომხვეჭი კვან უოლერი.

**ვერა-ოლიმპი 73:82**
**(18:19, 12:17, 19:28, 24:18)**

ოლიმპელებმა 9-ქულიანი, თუმცა გაუსაჩივრებელი გამარჯვება მოიპოვეს და წარმატებული სერია 4 მატჩამდე გაიგრძელეს.

არადა, ოლიმპმა ჩემპიონატი 2 მარცხით დაიწყო და ცხრილის ფსკერზეც გახლდათ, სადღეისოდ კი, 4 მოგებითა და 2 მარცხით ლიდერთა შორისაა. ანალოგიური შედეგი აქვს დინამოსა და ბათუმს.

პირველი ტაიმი მწირექულიანი გამოდგა: ოლიმპელებმა 36:30 მოიგეს, თუმცა მე-3 პერიოდიდან სამიზნე გაისწორეს და ძირითადად 3-ქულიანების ხარჯზე მოიპოვეს ხელჩასაჭიდი უპირატესობა, რომელიც მატჩის ბოლომდე წარმატებით შეინარჩუნეს. მიმდინარე სუპერლიგაში ყველაზე მეტი – 13 სამიანი აქამდე ქუთაისმა (თსუ-ს წინააღმდეგ) ჩააგდო, ოლიმპელებმა კი ვერელებს 15 სამქულიანი ჩაუგდეს, რითაც ახლოსაც არ მიიკარეს. თავად ვერასაც არ უსვრია ცუდად – პერიმეტრიდან 10-ჯერ იხეირა, თუმცა კორი ჰოლდენის, დევიონ ტერნერის, რეზო როგავას, კახა ჯინჭარაძისა და აკაკი ფიფიას ჯამურად მითვლილი 15 სამქულიანს რას გადაფარავდნენ.

მთლიანობაში, ოლიმპმა ძალიან სწრაფი და გააზრებული კალათბურთი ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა. გუნდს 23 ქულით, 6 პასითა და 6 მოხსნით კახა ჯინჭარაძემ ულიდერა. 12 ქულა კორი ჰოლდენმა, ხოლო 11-11 – დევიონ ტერნერმა და რეზო როგავამ მიითვალეს. ვერაში 16 ქულითა და 10 პასით გივი ბაქრაძე გამოირჩა, 14 ქულა და 7 მოხსნა ვახტანგ ქადარიას ანგარიშზეა.

**ქუთაისი-მგზავრები 87:77**
**(25:13, 30:17, 16:27, 16:20)**

იმერეთის მთავარქალაქში ადგილობრივ გუნდთან სათამაშოდ მგზავრები ჩავიდა, რომელსაც მიმდინარე სუპერლიგაში მხოლოდ 1 მოგება ჰქონდა და ამ მატჩის შემდეგ ასეც დარჩა. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისმა მძლავრად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ იმხელა უპირატესობა შეიქმნა, რომ გამარჯვებამდე მისვლა არ გასჭირვებია. მატჩი ქუთაისელებმა 87:77 მოიგეს და მიმდინარე სუპერლიგაში გამართული მე-6 მატჩში მე-3 გამარჯვება მოიპოვეს.

თამაშის დებიუტშივე მასპინძელთა უპირატესობა გამოიკვეთა. ჯეიმს მილიკენის ლიდერობით ქუთაისელებმა პირველი პერიოდი 25:13 მოიგეს, ხოლო მე-2 უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდეს და სწრაფი კონტრშეტევებით, რასაც ზუსტ შორ სროლებსაც უნაცვლებდნენ, დიდი უპირატესობა მოიპოვეს. დიდი შესვენებისთვის იმერული კლუბი 55:30 იგებდა და გამარჯვებაც ფაქტობრივად, განაღდებული ჰქონდა.

მართალია, მგზავრებმა თამაში გამოასწორა და მომდევნო ორივე პერიოდი – შესაბამისად 27:16 და 20:16 მოიგო, მაგრამ თამაშის შემოტრიალებას ეს არ ეყო. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა მგზავრებმა მიმდინარე სუპერლიგაში მე-6 მატჩი წააგო და დაკარგული ქულებით ჯერჯერობით ბოლო ადგილზე იმყოფება.

გამარჯვებულებს 31 ქულით, 8 მოხსნით და 7 პასით ჯეიმს მილიკენმა ულიდერა. 14 ქულა დააგროვა შონ რაუნდთრიმ, ბექა ბექაურის ანგარიშზე კი 13 ქულა და 9 მოხსნა დაგროვდა. მგზავრებში 20 ქულით საუკეთესო იყო დარელ ქომსბი, 15 ქულა, 8 მოხსნა და 6 პასი ტაჯ სპენსერის ანგარიშზე დაგროვდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.თსუ | 7 | 5 | 2 | 618-560 | 12 |
| 2.დინამო | 6 | 4 | 2 | 506-496 | 10 |
| 3.ვერა | 7 | 3 | 4 | 525-538 | 10 |
| 4.ბათუმი | 6 | 4 | 2 | 493-454 | 10 |
| 5.ოლიმპი | 6 | 4 | 2 | 486-492 | 10 |
| 6.აფხაზეთი | 6 | 3 | 3 | 467-465 | 9 |
| 7.ტიტები | 6 | 3 | 3 | 420-448 | 9 |
| 8.ქუთაისი | 6 | 3 | 3 | 464-455 | 9 |
| 9.კაკტუსი | 6 | 2 | 4 | 435-455 | 8 |
| 10.მგზავრები | 7 | 1 | 6 | 507-567 | 8 |
| 11.რუსთავი | 5 | 2 | 3 | 402-393 | 7 |

# შედეგები

## 23 ნოემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ჰემი-ტოტენჰემი ........ 2:3
არსენალი-საუთჰემპტონი ........ 2:2
ბორნმუთი-ვულვზი ........ 1:2
ბრაიტონი-ლესტერი ........ 0:2
კრ.პალასი-ლივერპული ........ 1:2
უოტფორდი-ბარნლი ........ 0:3
ევერტონი-ნორვიჩი ........ 0:2
სიტი-ჩელსი ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 13 | 12 | 1 | 0 | 30-11 | 37 |
| 2.ლესტერი | 13 | 9 | 2 | 2 | 31-8 | 29 |
| 3.სიტი | 13 | 9 | 1 | 3 | 37-14 | 28 |
| 4.ჩელსი | 13 | 8 | 2 | 3 | 28-19 | 26 |
| 5.ვულვზი | 13 | 4 | 7 | 2 | 18-16 | 19 |
| 6.ბარნლი | 13 | 5 | 3 | 5 | 20-18 | 18 |
| 7.არსენალი | 13 | 4 | 6 | 3 | 18-19 | 18 |
| 8.შეფილდი | 12 | 4 | 5 | 3 | 13-9 | 17 |
| 9.ტოტენჰემი | 13 | 4 | 5 | 4 | 21-19 | 17 |
| 10.მანჩესტერი | 12 | 4 | 4 | 4 | 16-12 | 16 |
| 11.ბორნმუთი | 13 | 4 | 4 | 5 | 16-17 | 16 |
| 12.ბრაიტონი | 13 | 4 | 3 | 6 | 15-19 | 15 |
| 13.კრ.პალასი | 13 | 4 | 3 | 6 | 11-18 | 15 |
| 14.ნიუკასლი | 12 | 4 | 3 | 5 | 11-18 | 15 |
| 15.ევერტონი | 13 | 4 | 2 | 7 | 13-20 | 14 |
| 16.ვესტ ჰემი | 13 | 3 | 4 | 6 | 16-23 | 13 |
| 17.ასტონ ვილა | 12 | 3 | 2 | 7 | 17-20 | 11 |
| 18.ნორვიჩი | 13 | 3 | 1 | 9 | 13-28 | 10 |
| 19.საუთჰემპტონი | 13 | 2 | 3 | 8 | 13-31 | 9 |
| 20.უოტფორდი | 13 | 1 | 5 | 7 | 8-26 | 8 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ჩარლტონი-კარდიფი ........ 2:2
ბლექბერნი-ბარნსლი ........ 3:2
ბრენტფორდი-რედინგი ........ 1:0
ბრისტოლი-ნოტინგემი ........ 0:0
ვესტ ბრომვიჩი-უენსდი ........ 2:1
დერბი-პრესტონი ........ 1:0
ლუთონი-ლიდსი ........ 1:2
სტოკი-უიგანი ........ 2:1
სუონსი-მილუოლი ........ 0:1
ჰადერსფილდი-ბირმინგემი ........ 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-ვოლფსბურგი ........ 0:2
ლევერკუზენი-ფრაიბურგი ........ 1:1
ვერდერი-შალკე ........ 1:2
უნიონი-გლადბახი ........ 2:0
ფორტუნა-ბაიერნი ........ 0:4
ლაიფციგი-კიოლნი ........ 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გლადბახი | 12 | 8 | 1 | 3 | 24-13 | 25 |
| 2.ლაიფციგი | 12 | 7 | 3 | 2 | 33-13 | 24 |
| 3.ბაიერნი | 12 | 7 | 3 | 2 | 33-16 | 24 |
| 4.ფრაიბურგი | 12 | 6 | 4 | 2 | 21-13 | 22 |
| 5.შალკე | 12 | 6 | 4 | 2 | 22-15 | 22 |
| 6.დორტმუნდი | 12 | 5 | 5 | 2 | 26-18 | 20 |
| 7.ვოლფსბურგი | 12 | 5 | 5 | 2 | 13-10 | 20 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 11 | 6 | 2 | 3 | 16-14 | 20 |
| 9.ლევერკუზენი | 12 | 5 | 4 | 3 | 18-16 | 19 |
| 10.აინტრახტი | 12 | 5 | 2 | 5 | 21-18 | 17 |
| 11.უნიონი | 12 | 5 | 1 | 6 | 15-17 | 16 |
| 12.ჰერტა | 11 | 3 | 2 | 6 | 17-21 | 11 |
| 13.ვერდერი | 12 | 2 | 5 | 5 | 19-26 | 11 |
| 14.ფორტუნა | 12 | 3 | 2 | 7 | 15-23 | 11 |
| 15.აუგსბურგი | 11 | 2 | 4 | 5 | 13-24 | 10 |
| 16.მაინცი | 11 | 3 | 0 | 8 | 12-30 | 9 |
| 17.კიოლნი | 12 | 2 | 1 | 9 | 11-27 | 7 |
| 18.პადერბორნი | 12 | 1 | 2 | 9 | 14-29 | 5 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-ზანდჰაუზენი ........ 1:1
ვისბადენი-კილი ........ 3:6
ჰამბურგი-დინამო ........ 2:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლეგანესი-ბარსელონა ........ 1:2
ბეტისი-ვალენსია ........ 2:1
გრანადა-ატლეტიკო ........ 1:1
რეალი-სოსიედადი ........ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 13 | 9 | 1 | 3 | 35-16 | 28 |
| 2.რეალი | 13 | 8 | 4 | 1 | 28-10 | 28 |
| 3.ატლეტიკო | 14 | 6 | 7 | 1 | 16-9 | 25 |
| 4.სევილია | 13 | 7 | 3 | 3 | 17-14 | 24 |
| 5.სოსიედადი | 14 | 7 | 2 | 5 | 22-17 | 23 |
| 6.გრანადა | 14 | 6 | 3 | 5 | 20-18 | 21 |
| 7.ბილბაო | 13 | 5 | 5 | 3 | 13-8 | 20 |
| 8.ხეტაფე | 13 | 5 | 5 | 3 | 18-15 | 20 |
| 9.ვალენსია | 14 | 5 | 5 | 4 | 20-20 | 20 |
| 10.ოსასუნა | 13 | 4 | 7 | 2 | 16-13 | 19 |
| 11.ვილიარეალი | 13 | 5 | 3 | 5 | 26-19 | 18 |
| 12.ლევანტე | 13 | 5 | 2 | 6 | 16-16 | 17 |
| 13.ვალიადოლიდი | 13 | 4 | 5 | 4 | 14-17 | 17 |
| 14.ბეტისი | 14 | 4 | 4 | 6 | 17-24 | 16 |
| 15.ალავესი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-18 | 15 |
| 16.ეიბარი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-21 | 15 |
| 17.მალიორკა | 14 | 4 | 2 | 8 | 13-22 | 14 |
| 18.სელტა | 13 | 2 | 3 | 8 | 7-19 | 9 |
| 19.ესპანიოლი | 13 | 2 | 2 | 9 | 7-23 | 8 |
| 20.ლეგანესი | 14 | 1 | 3 | 10 | 8-24 | 6 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

რაიო-სარაგოსა ........ 0:1
დეპორტივო-ალკორკონი ........ 0:0
რასინგი-ესტრემადურა ........ 3:0
უესკა-პონფერადინა ........ 2:0

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-იუვენტუსი ........ 1:3
მილანი-ნაპოლი ........ 1:1
ტორინო-ინტერი ........ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 13 | 11 | 2 | 0 | 23-10 | 35 |
| 2.ინტერი | 13 | 11 | 1 | 1 | 29-12 | 34 |
| 3.ლაციო | 12 | 7 | 3 | 2 | 28-13 | 24 |
| 4.კალიარი | 12 | 7 | 3 | 2 | 23-12 | 24 |
| 5.რომა | 12 | 6 | 4 | 2 | 20-14 | 22 |
| 6.ატალანტა | 13 | 6 | 4 | 3 | 31-21 | 22 |
| 7.ნაპოლი | 13 | 5 | 5 | 3 | 22-16 | 20 |
| 8.პარმა | 12 | 5 | 2 | 5 | 18-15 | 17 |
| 9.ფიორენტინა | 12 | 4 | 4 | 4 | 18-19 | 16 |
| 10.ვერონა | 12 | 4 | 3 | 5 | 10-11 | 15 |
| 11.ტორინო | 13 | 4 | 2 | 7 | 15-20 | 14 |
| 12.მილანი | 13 | 4 | 2 | 7 | 12-17 | 14 |
| 13.უდინეზე | 12 | 4 | 2 | 6 | 8-18 | 14 |
| 14.სასუოლო | 11 | 4 | 1 | 6 | 21-21 | 13 |
| 15.ბოლონია | 12 | 3 | 3 | 6 | 16-20 | 12 |
| 16.ლეჩე | 12 | 2 | 4 | 6 | 15-25 | 10 |
| 17.ჯენოა | 12 | 2 | 3 | 7 | 14-26 | 9 |
| 18.სამპდორია | 12 | 2 | 3 | 7 | 7-19 | 9 |
| 19.სპალი | 12 | 2 | 2 | 8 | 7-18 | 8 |
| 20.ბრეშა | 11 | 2 | 1 | 8 | 10-20 | 7 |

**იტალია. სერია ბ**

ბენევენტო-კროტონე ........ 2:0
ლივორნო-ტრაპანი ........ 1:2
პორდენონე-პერუჯა ........ 3:0
იუვე სტაბია-სალერნიტანა ........ 2:0
ემპოლი-ვენეცია ........ 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლიონი-ნიცა ........ 2:1
ამიენი-სტრასბური ........ 0:4
ანჟე-ნიმი ........ 1:0
ბრესტი-ნანტი ........ 1:1
დიჟონი-რენი ........ 2:1
მეცი-რეიმსი ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 14 | 11 | 0 | 3 | 30-8 | 33 |
| 2.ანჟე | 14 | 7 | 3 | 4 | 18-16 | 24 |
| 3.მარსელი | 13 | 6 | 4 | 3 | 16-11 | 22 |
| 4.სტ.ეტიენი | 13 | 6 | 3 | 4 | 15-17 | 21 |
| 5.რეიმსი | 14 | 5 | 5 | 4 | 10-7 | 20 |
| 6.ნანტი | 14 | 6 | 2 | 5 | 12-13 | 20 |
| 7.ლიონი | 14 | 5 | 4 | 5 | 22-14 | 19 |
| 8.მონპელიე | 13 | 5 | 4 | 4 | 14-10 | 19 |
| 9.ლილი | 14 | 5 | 4 | 5 | 18-15 | 19 |
| 10.ბორდო | 13 | 5 | 4 | 4 | 18-15 | 19 |
| 11.რენი | 13 | 5 | 3 | 5 | 17-15 | 18 |
| 12.სტრასბური | 14 | 5 | 3 | 6 | 15-14 | 18 |
| 13.მონაკო | 13 | 5 | 3 | 5 | 20-22 | 18 |
| 14.ბრესტი | 14 | 4 | 6 | 4 | 15-17 | 18 |
| 15.ნიცა | 14 | 5 | 2 | 7 | 17-21 | 17 |
| 16.ამიენი | 14 | 4 | 4 | 6 | 17-24 | 16 |
| 17.დიჟონი | 14 | 4 | 3 | 7 | 9-15 | 15 |
| 18.მეცი | 14 | 3 | 5 | 6 | 12-19 | 14 |
| 19.ტულუზა | 13 | 3 | 3 | 7 | 15-25 | 12 |
| 20.ნიმი | 13 | 2 | 5 | 6 | 11-17 | 11 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლანსი-სოშო ........ 4:0

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

უტრეხტი-ალკმაარი ........ 0:3
აიაქსი-ერაკლესი ........ 4:1
ზვოლე-სიტარდი ........ 3:1
დენ ჰააგი-ტილბურგი ........ 3:3

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ორენბურგი-ახმატი ........ 1:2
რუბინი-ზენიტი ........ 1:2
დინამო-როსტოვი ........ 2:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სერვეტი-ბაზელი ........ 2:0
ციურიხი-ლუცერნი ........ 3:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმანროკი-ჰართსი ........ 3:0
სელტიკი-ლივინგსტონი ........ 4:0
სტ.მირენი-როსი ........ 2:1
ჰიბერნიანი-მოზერველი ........ 3:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ტიროლი-ლინცერი ........ 0:2
მატერსბურგი-ვოლფსბერგერი ........ 1:4
ზალცბურგი-სტ.პოლენი ........ 2:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

ეუპენი-სტანდარდი ........ 1:2
ბევერენი-სერკლი ........ 1:1
მეხელენი-ვარეგემი ........ 0:2
მუსკრონი-გენკი ........ 2:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი ........ 1:1
ლამია-ქსანთი ........ 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

დენიზლი-რიზე ........ 2:0
ანკარაგიუჯიუ-ტრაბზონი ........ 0:3
ქონია-ბეშიქთაში ........ 0:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბოჰემიანსი-პრჟიბრჟამი ........ 1:0
ოპავა-ბოლესლავი ........ 1:0
ლიბერეცი-ზლინი ........ 5:0
სიგმა-სლავია ........ 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კორონა-ჩენსტოხოვა ........ 3:0
პოგონი-ლეგია ........ 3:1
ლეხია-ლოძი ........ 3:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლექსანდრია-ზორია ........ 1:0
დნიპრო-ვორსკლა ........ 1:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# სკანვორდი



1 .რკინისა და ნიკელის შენადნობი; 2. ცვარი-...; 3. პოეტი-მომღერალი შუა აზიაში; 4. მიწის ფართის საზომი ერთეული (ინგლისი, ამერიკა); 5. პატარა ტანის ცხენი; 6. ციფრი; 7. ქალბატონი (ინგლისურად); 8. კათოლიკეთა მღვდელი საფრანგეთში; 9. ფანდი, ხრიკი; 10. სახელმწიფო აფრიკაში; 11. მშვილდ-...; 12. ალპინისტების მარშრუტი, რამდენიმე მწვერვალზე გადასვლა; 13. წვრილმანებში ჩაციება; 14. მდინარის მტაცებელი თევზი; 15. ნუსხა; 16. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 17. მუხის ნაყოფი; 18. ... კლიბერნი; 19. მატადორი; 20. გასეირნება ბავშვის ენაზე; 21. ალლუმი; 22. წილი ბიზნესში; 23. რასაც ყური აღიქვამს; 24. ჯულიეტა ...; 25. რამით თავდავიწყებით გატაცება; 26. ცოლ-ქმრიდან ერთ-ერთის შვილი მეორის მიმართ; 27. დენის წინაღობის ერთეული; 28. საწერი ქაღალდის რაოდენობის საზომი ერთეული; 29. უკუსვლა, დაქვეითება; 30. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 31. პატარა მღრღნელი ცხოველი; 32. ჭირვეულობა.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. იორდანე; 8. მესეფი; 3. შუშაბანდი; 4. თოფუზი; 5. დისკანტი; 7. ოშკი; 11. ძელშავი; 13. ბოლოიწო; 15. ფრუმი; 16. ლანჩა; 18. შანსი; 19. ლაკმე.

**თარაზულად:** 6. ოდეონი; 8. ვეჯვუდი; 9. ლაფსუსი; 10. ასპინძა; 12. სილვა; 14. პილონი; 17. დუღაშვილი; 20. ეპატაჟი; 21. თმოგვი; 22. სტამბა; 23. საფიხვნო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დავლური; 2. პაგანინი; 3. პორტიე; 4. ქცევა; 5. კაროტინი; 8. ბარახასი; 12. ზებუ; 13. პოლემიკა; 14. არაგვი; 16. ტარიელი; 18. კოდაი; 20. საკე.

**თარაზულად:** 6. საფიჩხია; 7. პრომოცია; 8. ბეჟარი; 9. ფურკა; 10. ფიტარეთი; 11. გლიზმანი; 15. სოლისიტორი; 17. სუმიდა; 19. ვილსდორფი; 21. მიურიდი; 22. საკვოიაჟი; 23. ლეკლერი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

25 ნოემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9749

ევრო — 3.2899

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8305

100 რუსული რუბლი — 4.6709

## ამინდის პროგნოზი 25 ნოემბერი








## 26 ნოემბრიდან

იაკობ გოგებაშვილი

# საგანძური

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი


## „წილისყრაში გაგვიმართლა“

### ვაისი და იაშვილი ისტორიულ შანსს აფასებენ



როგორც უკვე იცით, შვეიცარიის ქალაქ ნიონში უეფას ერთა ლიგის პლეი-ოფის წილისყრა გაიმართა, სადაც გაირკვა, რომ 26 მარტს, ერთა ლიგის ნახევარფინალურ შეხვედრაში, ბელარუსის წინააღმდეგ გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ნაკრები ფინალურ შეხვედრას 31 მარტს, საკუთარ მოედანზე გამართავს.

ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს შტაბ-ბინაში გამართულ ღონისძიებას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ლევან კობიაშვილი, გენერალური მდივანი, დავით მუჯირი, ვიცეპრეზიდენტი, ალექსანდრე იაშვილი და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ვლადიმირ ვაისი დაესწრნენ.

წილისყრა ვლადიმირ ვაისმა და ალექსანდრე იაშვილმა შეაფასეს.

**ვლადიმირ ვაისი:**

– საინტერესო წილისყრა გამოვიდა, გაგვიმართლა და სასიხარულოა, რომ ბელარუსთან გამარჯვების შემთხვევაში, გადამწყვეტ მატჩს საკუთარ მოედანზე ვითამაშებთ. ნახევარფინალში ადვილი მეტოქე არ გვყავს, ევროპის ჩემპიონატზე თამაში მათი ოცნებაცაა და ამიტომ ფინალში გასვლა ადვილი არ იქნება.

პირველ რიგში, სწორედ ნახევარფინალურ შეხვედრაზე უნდა ვკონცენტრირდეთ, ვაჩვენოთ, რა შეგვიძლია და როგორი ძლიერი გუნდი გვყავს. ერთა ლიგაზე ჩვენი გულშემატკივრები შესანიშნავ გარემოს ქმნიდნენ, ყაზახეთის, ლატვიისა და ანდორას წინააღმდეგ სტადიონი სავსე იყო და ეს ფაქტორი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვარ, რომ სტადიონი მარტშიც გაივსება იმიტომ, რომ ქართველი გულშემატკივარს უდიდესი სურვილი აქვს ევროპის ჩემპიონატზე გასვლის და სჯერა ჩვენი ფეხბურთელების, ისევე როგორც მე. აქედან გამომდინარე, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მიზნის მისაღწევად. ეს ადვილი არ იქნება, მოლოდინი ძალიან დიდია და შესაბამისად ფსიქოლოგიური წნეხი იზრდება.

**კენჭისყრა იაშვილმა ასე შეაფასა:**

— ყველა ქვეყანას სურს, რომ ფინალი საკუთარ სტადიონზე, საკუთარი გულშემატკივრის წინაშე ითამაშოს, აქედან გამომდინარე, ძალიან ვნერვიულობდით. რა თქმა უნდა, ყველას კარგად გვაქვს გაცნობიერებული ჩვენი პასუხისმგებლობა და ვხვდებით, თუ რას ნიშნავს ჩვენი ქვეყნისთვის ევრო 2020-ზე თამაში. ეს თითოეული ქართველის ოცნება და მიზანია.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ 26 მარტს ბელარუსის წინააღმდეგ გასამართ მატჩზე ვკონცენტრირდეთ და იქ წარმატების შემთხვევაში უკვე შეგვეძლება ფინალზე ვიფიქროთ. აქედან გამომდინარე, ვკონცენტრირდებით ნახევარფინალზე და დიდი იმედით ველოდებით ამ შეხვედრას.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## იუმორი...

აფთიაქში მამაკაცი გამყიდველს ეუბნება:

– გოგონი, ერთი აბი მინდა.

– რომელი?

– თეთრი.

– ეს აფთიაქია და უამრავი თეთრი აბი გვაქვს...

– ჰოდა, ერთი ცალი მომეცით.

•••

ორი დაქალი ერთდროულად გათხოვდა. ერთი თვის შემდეგ ერთი მეორეს ურეკავს და მოკითხვის შემდეგ ეუბნება:

– იცი, ჩემს ქმარს პირდაპირ ოქროს ხელები აქვს, ყველაფერს აკეთებს. ახლახან სამზარეულოში ონკანი გაფუჭდა და საკუთარი ხელით 5 წუთში შეაკეთა.

– მე კი დღემდე არ ვიცი, სად გვაქვს სამზარეულო...

•••

ფეხბურთის მწვრთნელი სპორტულ მაღაზიაში შედის და გამყიდველებს ეუბნება:

– ჩემი გუნდი ჩემპიონატისთვის ემზადება და მინდა, თქვენთან შევიძინო კალათბურთის ბურთები, ციგურები, ჰოკეის ჯოხები, ჩოგნები, ბეისბოლის ჯოხები...

– კი მაგრამ, რისი გუნდი გყავთ?

– აი, მეც სწორედ მაგის გაგება მინდა, რას თამაშობენ...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## „მხოლოდ ქართული“ მესამე სეზონს იწყებს



25 ნოემბრიდან „მთავარ არხზე“ მუსიკალური გადაცემა „მხოლოდ ქართული“ მესამე სეზონს დაიწყებს.

ყოველ ორშაბათს მაყურებელს შესაძლებლობა ექნება, მოუსმინოს იმ კონკურსანტებს, რომლებსაც სჯერათ, რომ ქართულ სიმღერას ყველაზე კარგად ასრულებენ.

„მხოლოდ ქართულის“ უცვლელი ჟიურის წევრები არიან მარინა ბერიძე, სოფო ნიჟარაძე და გიორგი უშიკიშვილი. კონკურსანტებს ნიკა გრიგოლია და ილო ბეროშვილი გაამხნევებენ.

„მხოლოდ ქართულის“ პირველი სეზონი სოფო ბათილაშვილმა მოიგო, მეორე სეზონის გამარჯვებული კი გიორგი კელაპტრიშვილი გახდა.

## „საქართველოს ვარსკვლავი“ ლიზა შენგელიამ დატოვა



მუსიკალური შოუ „საქართველოს ვარსკვლავი“ მომღერალმა ლიზა შენგელიამ დატოვა. 9 კონკურსანტიდან ყველაზე ნაკლები ხმა სწორედ ლიზამ დააგროვა.

კონცერტის განმავლობაში 101.408 ხმა დაფიქსირდა. მათგან ყველაზე ცოტა ხმა ანრი გუჩმანიძემ (8.64 პროცენტი) და ლიზა შენგელიამ (8.09 პროცენტი) დააგროვეს. ამიტომ სწორედ ეს ორი მომღერალი გახდა პროექტიდან გავარდნის კანდიდატი, თუმცა ანრიმ ლიზას აჯობა და შოუს მიღმა ლიზა შენგელია აღმოჩნდა.

მეორე საკონკურსო ტურის ლიდერი თორნიკე ყიფიანი გახდა.

## მერაბ ნინიძე კიდევ ერთ ამერიკულ სერიალში მიიწვიეს



ქართველი მსახიობი მერაბ ნინიძე კიდევ ერთ ამერიკულ სერიალში მიიწვიეს.

„თრედსტოუნი“ – ასე ეწოდება სერიალს, რომელიც მაყურებელში დიდი მოწონებით სარგებლობს.

სერია მერაბ ნინიძის მონაწილეობით ეთერში სამშაბათს გავა.

„თრედსტოუნი“ არის სპინოფი და მოვლენები სპეცაგენტ ჯეისონ ბორნის სამყაროში ვითარდება. სერიალის სიუჟეტის თანახმად, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს პროგრამა „თრედსტოუნის“ მიზანი აგენტების შესაძლებლობების ხელოვნური მოდიფიკაციაა. ასეთი რამდენიმე აგენტი კი მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში ასრულებს დავალებას.

მერაბ ნინიძე ამერიკულ ფილმებსა და სერიალებში სასურველი მსახიობია. მან მონაწილეობა მიიღო პოპულარული ამერიკულ სერიალის „ჰოუმლენდის“ ბოლო სეზონში.

2020 წელს კი ქართველი მსახიობის მონაწილეობით მაყურებელი კიდევ ერთ ამერიკულ ფილმ „აირონბარკს“ იხილავს.

## ნინო კასრაძე ორი ქალის სიყვარულზე გადაღებულ ფილმში მონაწილეობს




რუსთაველის თეატრის მსახიობი ნინო კასრაძე რეჟისორ თამარ შავგულიძის მიერ გადაღებულ ახალ ფილმში მონაწილეობს. „კომეტები“ – ასეთია ფილმის სახელწოდება, რომელიც ორი ქალის სიყვარულზეა.

„კომეტების“ სცენარზე რეჟისორმა თავად იმუშავა.

ფილმის მსოფლიო პრემიერა კანადაში, ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა.

ფილმში მონაწილეობენ მსახიობები ქეთევან გეგეშიძე, ნინო კასრაძე, კატო კალატოზიშვილი, ნინა მაზოდიერ და მარიამ ირემაშვილი.

ფილმი ორი შუახნის ქალის ხანგრძლივი სიყვარულის ისტორიას აღწერს. ნანა (55) და ირინა (55) ბავშვობის მეგობრები იყვნენ. თინეიჯერობის ასაკში მიხვდნენ, რომ მათ შორის რაღაც უფრო მეტი იყო, ვიდრე მეგობრობა. როდესაც ამის შესახებ მათ ირგვლივ მყოფმა ადამიანებმა გაიგეს, ამ ორის ცხოვრება აუტანელი გახდა. ამიტომ ირინამ ნანა მიატოვა და უცხოეთში წავიდა საცხოვრებლად. ნანა თბილისში დარჩა, გათხოვდა და ორი შვილი შეეძინა, მეგობრებს დაშორდა და თავი ოჯახს მიუძღვნა. წლების შემდეგ ირინა თბილისში ბრუნდება. ქალები ერთმანეთს სააგარაკო სახლში ხვდებიან, სადაც ადრე საუკეთესო წლები გაატარეს ერთად.

„ეს არის მშვიდი ფილმი, რომელიც ყვება ორი ქალის ხანგრძლივი, დაკარგული სიყვარულის ისტორიას. ფრაგმენტულ მოგონებებსა და დაძაბულ დიალოგებს შორის ფილმი მაყურებელს აჩვენებს ერთი და იმავე სქესის ადამიანებს შორის ურთიერთობას ქვეყანაში, რომელიც ჯერაც იბრძვის ლგბტქ+ ადამიანების უფლებებისთვის“, – ასეთია ფილმის სინოფსისი.

„კომეტების“ ქართული პრემიერა 2 დეკემბერს კინოთეატრ „ამირანში“, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგება, პარალელურად, ევროპული ჩვენებებისთვის ემზადება.

## ირმა გიგანი საფრანგეთში გამართულ კონკურსზე ლაურეატი გახდა



პიანისტმა ირმა გიგანმა საფრანგეთში გამართულ პიანისტთა მეორე საერთაშორისო კონკურსზე „ფორტეპიანოს ვარსკვლავები“ ლაურეატის წოდება მოიპოვა.

– ბედნიერი ვარ გაგიზიაროთ, რომ გავხდი ლაურეატი „ფორტეპიანოს ვარსკვლავების“ – პიანისტთა მეორე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი საფრანგეთში.

დაუვიწყარი ემოციებით სავსე ვარ.

საოცარი მუსიკოსებით სავსე ჟიური და ურთულესი პროგრამა – 3 ტური სოლო რეპერტუარით.

უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს გულშემატკივრებს, ჩემს ყველაზე ძვირფას მშობლებს – საგანძურს, ჩემს და ჩემი ოჯახის ერთგულ მეგობრებს.

უდიდესი მადლობა ჩემს საოცარ, დიდებულ პროფესორს, საოცარ მუსიკოსს, პიანისტსა და პიროვნებას, ბატონ სტეფან არნოლდს – ბედნიერი ვარ, რომ მისი სტუდენტი მქვია. მადლობა თითოეული საოცარი გაკვეთილისთვის.

დიდი მადლობა ვენის უნივერსიტეტს.

უდიდესი მადლობა ჩემს უძვირფასეს საოცარ მუსიკოსსა და პიროვნებას მანანა დოიჯაშვილს მუდამ გვერდში დგომისა და გულშემატკივრობისთვის – დაუვიწყარი, სიყვარულითა და მუსიკით სავსე გაწეული ამაგისთვის ჩემს ცხოვრებაში.

უდიდესი მადლობა ჟიურის წევრებს – საოცარ, გულწრფელ მუსიკოსებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

### 25 ნოემბრისათვის



**ვერძი** – დღეს გამორიცხული არ არის მცირეოდენი ოჯახური უსიამოვნებები, გართულებები პირად ცხოვრებაში. საყვარელ ადამიანთან კამათი თქვენ სასარგებლოდ არ დამთავრდება. **კურო** – ერიდეთ პროვოკაციებს დღის პირველ ნახევარში. მამაკაცებისთვის კომპრომისზე წასვლა რეკომენდებული არ არის. კატეგორიულობა მიუღებელია. **ტყუპები** – ჯანმრთელობისთვის არაკეთილისმყოფელი დღეა. მოსალოდნელია ქრონიკული დაავადების გამწვავება. ახლობელ ადამიანთან ურთიერთობა გეძაბებათ. **კირჩხიბი** – ეს დღე შესაძლოა წინააღმდეგობრივი აღმოჩნდეს. შინაგანი განგაშის შეგრძნება და ნევროზულობა მთელ დღეს თან გდევთ. ეცადეთ, განმარტოვდეთ და იფიქროთ. **ლომი** – გეგმების განხორციელებაში ხელს არაფერი გიშლით. ფინანსურად გაძლიერდებით. სასიცოცხლო პოტენციალი მაღალ დონეზეა. **ქალწული** – არ ღირს შორს გამგზავრება, მივლინებები, კონტაქტი უცნობ ადამიანებთან. **სასწორი** – ნაყოფიერი დღეა. შრომისუნარიანობა აგიმაღლდებათ. ახალი საქმის დასაწყებად შესაფერისი პერიოდია. **მორიელი** – კარგ გუნებაზე ხართ. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. დაგეგმეთ მომავალი დასვენება. **მშვილდოსანი** – კოსმოსიდან დიდ ენერგიას იღებთ. წარმატებული დღე გაქვთ. ყველა საქმეს იოლად აგვარებთ. **თხის რქა** – იაქტიურეთ. წარმატება გელით პროფესიულ საქმიანობაში. კარიერაში სასიკეთო ცვლილებები შეინიშნება. **მერწყული** – ოცნება გისრულდებათ. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. თავს დასვენებისა და განტვირთვის უფლება მიეცით. **თევზები** – თავს კარგად გრძნობთ. მიენდეთ ინტუიციას. ნუ იქნებით მეტისმეტად ლოიალური და უპრინციპო.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. მოწნულყურიანი ჭურჭელი; 4. მთათა სისტემა შუა აზიაში; 7. ჩინეთის დედაქალაქი; 8. ქალაქი პოლონეთში; 12. ნაჭდევებიანი ფოლადის ძელაკი; 13. რძის პროდუქტი; 15. დიდი ხვლიკი; 17. მახრჩობელა გველი; 19. საცხოვრებელი სახლებისა და საწარმოების გაზით უზრუნველყოფა; 20. ბანქო; 21. ძველებური სამხედრო ქუდი.

**შვეულად:** 1. ტროპიკული ხილი; 2. სიბრძნის, ხელოვნების ქალღმერთი ბერძნულ მითოსში; 3. სპორტის სახეობა; 5. ყაჩაღი კუთხურად; 6. შუქმგრძნობიარე ფირზე საგნის უკუღმა გამოსახულება; 9. ნაღვლიანი განწყობილება; 10. ენათმეცნიერი; 11. ისლამის რელიგიური სისტემა; 14. ... თბილელი; 16. ალლუმი; 18. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-სა და ინგლისში.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

